ვერსია

№23 (1664) 28 ივნისი — 4 ივლისი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge


## რა გზა გაიარა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე

ქრონოლოგია, რომელიც ყველამ უნდა ვიცოდეთ

# როდის, სად გაიცნო პუტინი და როგორ გახდა პრიგოჟინი გავლენიანი ფიგურა

## მზარეულობიდან სამხედრო ამბოხებამდე – უცნობი ფაქტები კაციჭამია კრიმინალის ცხოვრებიდან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

## უშიშროების თანამშრომელმა ვეტერანი პედაგოგი მოკლა

ტრაგედია, რომელმაც გამომძიებელი დაშოკა

## რა ქონებას ფლობენ გასული კვირის მთავარი მოვლენების ფიგურანტები – სალომე ზურაბიშვილი და ნიკა გვარამია

პრეზიდენტის სახლები თბილისსა და პარიზში და ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლის მოკრძალებული დეკლარაცია

## პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია 12 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 12 პირი.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული ლ.რ. დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას – 2 პისტოლეტი, 2 მჭიდი, 21 ვაზნა და 8 მასრა ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოs და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ორი პირი – 1988 წელს დაბადებული ი.ჩ. და 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ფ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, მაკაროვისა და ნაგანის სისტემის პისტოლეტები, მჭიდი და 25 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული 1980 წელს დაბადებული ს.მ.-ს პირადი ჩხრეკისას, ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 7 ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული რ.ო. დააკავეს, რომლის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა კი, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი დააკავეს: 1978 წელს დაბადებული მ.წ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს მაკაროვის სისტემის იარაღი, მჭიდი და ხუთი ვაზნა, 1989 წელს დაბადებული, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი დ.ი.-ს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, პოლიციამ ამოიღო ნარკოტიკული საშუალება, გადაჭრილი სანადირო თოფი ე.წ „აბრეზი“ და ვაზნები, ხოლო 1969 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი მ.კ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 110 ვაზნა, პისტოლეტი და მჭიდი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) და საგამოძიებო სამმართველოების, ასევე წალენჯიხის, მარტვილისა და ზუგდიდის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი – 1984 წელს დაბადებული მ.ბ., 1958 წელს დაბადებულ გ.ფ., 1964 წელს დაბადებული დ.ბ. და 1984 წელს დაბადებულ გ.ბ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, „ნაგანის“ ტიპის 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 4 პისტოლეტი, 6 მჭიდი და 29 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და სსკ-ის 273-ე მუხლით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ირლანდიის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე ეწვია

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ირლანდიის პარლამენტის თავმჯდომარე შონ ო ფარელი, დელეგაციასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ეწვია.

მომსახურების სააგენტოში სტუმრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი ბუთხუზმა, მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ბესიკ ტეფნაძემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს.

მხარეებმა საქართველოსა და ირლანდიას შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ ქართული მართვის მოწმობების კატეგორიებისა და მათი გაცემის წესის შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები ადგილზე გაეცნენ მომსახურების სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას, აგრეთვე იმ სერვისებს, რომლებსაც სააგენტო მოქალაქეებს სთავაზობს.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოხატეს მზაობა, აქტიურად გაგრძელდეს თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

## შინაგან საქმეთა მინისტრმა აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის (DOE) ბირთვული უსაფრთხოების საკითხების მდივნის მოადგილესა და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გაცნობითი შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის (DOE) ბირთვული უსაფრთხოების საკითხების მდივნის მოადგილესა და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ჯილ ჰრუბისთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტს შორის არსებული თანამშრომლობა, მიღწეული შედეგები, განსაზღვრეს სამომავლო გეგმები და პრიორიტეტული მიმართულებები. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, კელი დეგნანი.

ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა ბირთვული უსაფრთხოების სფეროში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში შესაძლებლობების გაძლიერება სამინისტროსთვის, როგორც ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) საფრთხეებზე ძირითადი პასუხისმგებელი უწყებისთვის, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მან ასევე ისაუბრა ქბრბ მასალების გამოვლენისა და საფრთხეებზე ეფექტური რეაგირების მიმართულებით საქართველოს საოკუპაციო ხაზთან მომუშავე დანაყოფების შესაძლებლობების განვითარების მნიშვნელობაზე.

თავის მხრივ, ჯილ ჰრუბიმ მზაობა გამოხატა, განაგრძოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერა ბირთვული უსაფრთხოების სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

# როდის, სად გაიცნო პუტინი და როგორ გახდა პრიგოჟინი გავლენიანი ფიგურა

ნათია დოლიძე

**თუ რამ ძალიან გინდა, სურვილი აუცილებლად აგიხდება – ეს მეტაფიზიკის კანონია. აქედან გამომდინარე, ის, რაც რამდენიმე დღის წინ, რუსეთში მოხდა, ალბათ, ლოგიკური იყო ანუ მხოლოდ ჩვენ, ქართველებსა და უკრაინელებს კი არა, სავარაუდოდ, მთელ ცივილურ მსოფლიოს უნდა, რომ პუტინი, როგორც მმართველი, დამთავრდეს. მართალია, ამჯერად ჩვენი სურვილი ბოლომდე არ ახდა, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ პრიგოჟინის ამბოხით თუ ამბოხის მცდელობით, ვლადიმერ ვლადიმერის ძის დასასრულის დასაწყისი დაიწყო. ზოგადად, „ვაგნერის“ ბუნტზე არაერთი ვერსია არსებობს. ზოგი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ყველაფრი გათამაშებული და დადგმული იყო ანუ პუტინი ხვდება, რომ უკრაინაში ომს აგებს, მაგრამ ამის აღიარება არ უნდა. ამიტომაც, „პრიგოჟინის კარტი“ გაათამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ შიდა არეულობისა თუ არეულობის საფრთხის საბაბით, უკრაინიდან ჯარს ეტაპობრივად გამოიყვანს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, ამ ვერსიის მაინცდამაინც არ მჯერა.**

## მზარეულობიდან სამხედრო ამბოხებამდე – უცნობი ფაქტები კაციჭამია კრიმინალის ცხოვრებიდან

არსებობს სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, ასეთი: პრიგოჟინის ამბოხება რუსულ ბიზნესსა და პოლიტელიტაში გადანაწილებების გამოძახილია. ასევე, ამბობენ, რომ პრიგოჟინი „გადააგდეს“ და ყველაფერი ის, რაც გააკეთა, შურისძიებას ემსახურებოდა.

ასეა თუ ისე, ფაქტია: პუტინის მმართველობა შეირყა და იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პრიგოჟინს მოკლავენ (ექსპერტები ამ ვარაუდსაც გამოთქვამენ), კრემლის დიქტატორი ძველებურ რიხს ვეღარ დაიბრუნებს და, ადრე თუ გვიან, თითს მოკაკვავს.

სხვათა შორის, ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში პუტინი ერთობ მშიშარაა და ამით ხსნიან, რომ პრიგოჟინის ამბოხების დაწყებისთანავე, მან მოსკოვი დატოვა (ამბობენ, რომ კრემლი „ფეიკს“ ავრცელებს, როცა ამბობს, კრემლშიაო, სინამდვილეში, პუტინი მოსკოვში, თურმე, არ არის).

ისე, მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია ცოტა უცნაურია – პრიგოჟინმა, მას შემდეგ, რაც როსტოვი „აიღო“, განაცხადა, რომ მოსკოვზე „გალაშქრებას“ აპირებდა და დაიძრა კიდეც, თან გზადაგზა განცხადებებსაც აკეთებდა და ისიც თქვა, მალე რუსეთს ახალი პრეზიდენტი ეყოლებაო. მთელი მსოფლიო გაირინდა და ელოდა, რა მოხდებოდა და აი, მაშინ, როცა მოსკოვამდე 200 კილომეტრიღა აშორებდა, პრიგოჟინმა უკან დახევა დაიწყო და ყველაფერი ეს იმით ახსნა, რომ არ უნდოდა, რუსების სისხლი დაეღვარა.

ევგენი, რომელზეც ამბობენ, რომ ცივსისხლიანია, ნუთუ, ამბოხების დაწყებისას ვერ ხვდებოდა, რომ ყველაფერ ამას სისხლი მოჰყვებოდა თუ გონება უცებ გაუნათდა?

ამ კითხვაზე პასუხს დრო გასცემს, მანამდე კი მოდით, პრიგოჟინი უფრი ახლოს „გავიცნოთ“ ანუ თვალი მის შავბნელ ბიოგრაფიას გადავავლოთ.

არცთუ დიდი ხნის წინ, „ნოვაია გაზეტა ევროპამ“ პრიგოჟინზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც წერია:

**„2003 წელს, საკუთარი ქალიშვილის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პრიგოჟინმა დაწერა საბავშვო წიგნი, სახელწოდებით – „ინდრაგუზიკი“. წიგნი მოგვითხრობს პატარა კაცუნებზე, რომლებსაც „ყველგან შეუძლიათ დამალვა“. ავტორებად მითითებულები არიან პოლინა და პაშა პრიგოჟინები – ევგენი პრიგოჟინის შვილები“.**

წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა – მხოლოდ 1000 ეგზემპლარი და ძირითადად პრიგოჟინის გავლენიანი მეგობრების წრეში დარიგდა.

იმ დროისთვის პრიგოჟინი მოდური პეტერბურგელი რესტორატორი იყო, ამიტომ ბევრი გავლენიანი ნაცნობი ჰყავდა – მინისტრები, გუბერნატორები და ა.შ.

მაღალი თანამდებობის პირებთან ნაცნობობა და მათ წრეში შეღწევა პრიგოჟინის კარიერის განმსაზღვრელი ნაწილია. ის ამ კარიერის აშენებას 90-იანი წლების ბოლოდან სკრუპულოზურად ცდილობს, თუმცა კრიმინალურმა წარსულმა ხელი შეუშალა ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში ადგილის დაკავებაში. წლების განმავლობაში, პრიგოჟინმა თავისი ნიშა ჩრდილში, არასაჯარო სიბრტყეში იპოვა იქ, სადაც ოფიციალური ინსტიტუტები გამოჩენას ერიდებიან, თუმცა ომმა ყველაფერი შეცვალა – მან პრიგოჟინი ჩრდილიდან გამოიყვანა და მისცა შესაძლებლობა, ფართო საზოგადოების წინაშე, მედიაში გამოჩენილიყო. კრიმინალური წარსული, რომლის დამალვასაც ის ადრე ცდილობდა, დღეს მის უპირატესობად იქცა – ის ციხეებში დადის, მსჯავრდებულებს მათივე ენაზე ესაუბრება და უკრაინის ომში მონაწილეობაზე არწმუნებს.

დღეს პრიგოჟინი მედიაში პოპულარული ფიგურაა, რაზეც ყოველთვის ოცნებობდა. „ვაგნერელები“ კი მარგინალი კაციჭამიებიდან უკრაინის ომის მთავარ გმირებად გარდაიქმნენ.

### კრიმინალი მზარეული

პრიგოჟინის კრიმინალური წარსული ოფიციალურად 1981 წელს იწყება, როდესაც ლენინგრადის სასამართლომ მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით, ბინების ქურდობისა და ყაჩაღობისთვის. პრიგოჟინი დროზე ადრე გამოვიდა კოლონიიდან – შეიწყალეს და 1990 წელს გათავისუფლდა, თუმცა საბჭოთა ციხეში ყოფნის თითქმის ათ წელს უკვალოდ არ ჩაუვლია.

გათავისუფლების შემდეგ, მან ჯერ მამინაცვალთან ერთად, „ჰოთ-დოგების“ გაყიდვა დაიწყო, შემდეგ კი კვებისა და აზარტული თამაშების ბიზნესში ჩაერთო.

პირველი რესტორანი პეტერბურგში, 1996 წელს გახსნა. მალევე, ერთს მიჰყვა სხვები. ეს იყო ელიტური რესტორნები, სადაც დადიოდნენ რუსული ელიტის წარმომადგენლები. ერთ-ერთ ასეთ რესტორანში – „ნიუ აილენდში“, 2000-იანი წლების დასაწყისში, ვლადიმერ პუტინმა საფრანგეთის ლიდერ ჟაკ შირაკს და აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს უმასპინძლა. სახელმწიფოს მეთაურებს ევგენი პრიგოჟინი პირადად ემსახურებოდა.

პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებამ პრიგოჟინს მწვანე შუქი აუნთო პეტერბურგში. 2000-იანი წლების განმავლობაში, მისი ბიზნესი ელიტარული კვების სფეროში ძალიან წარმატებული იყო: მისი კომპანია ემსახურებოდა საკვებით ისეთი მაღალი რანგის ღონისძიებებს, როგორებიც იყო სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი და დიმიტრი მედვედევის ინაუგურაციის დღესთან დაკავშირებული სადილი.

სარესტორნო ბიზნესი დაეხმარა პრიგოჟინს ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებაში, შემდგომში კი უზრუნველჰყო მისი სწრაფი წარმატება ბევრ სხვა სფეროში.

2010-იანი წლებიდან, მისი კომპანიები გასცდნენ ელიტარულ კვებას: ბიზნესმენმა დაიწყო სკოლის მოსწავლეების, საბავშვო ბაღებისა და ჯარის საკვებით უზრუნველყოფა.

2015 წელს, მოსკოვის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში საკვების 90% პრიგოჟინის კომპანიებს შეჰქონდათ. 2012 წლიდან კი, სამხედრო სექტორის ყველა შეკვეთის 90% მოდიოდა კონკრეტულად პრიგოჟინთან დაკავშირებულ კომპანიებზე. საგულისხმოა, რომ მშობლები ბევრს და ხშირად ჩიოდნენ უხარისხო საკვებისა და მოწამვლის შემთხვევების გამო. ათი წლის განმავლობაში, ათასზე მეტი სარჩელი იქნა შეტანილი პრიგოჟინთან დაკავშირებული ფირმების ქსელის წინააღმდეგ, უხარისხო საკვებთან დაკავშირებით.

### პუტინთან ნაცნობობა

როგორც თავად პრიგოჟინმა თქვა, პუტინი 2000 წელს, რესტორან New Island-ში გაიცნო, როდესაც იაპონიის პრემიერ-მინისტრი, იოშირო მორი სანკტ-პეტერბურგს სტუმრობდა, თუმცა დიდი ალბათობით, პრიგოჟინი და პუტინი ერთმანეთს ჯერ კიდევ 1990-იან წლებში იცნობდნენ, როდესაც მომავალი პრეზიდენტი, რომელიც მაშინ სობჩაკის გუნდში მუშაობდა, კაზინოებისა და აზარტული თამაშების ბიზნესის კურატორი იყო.

პრიგოჟინმა ვლადიმირ პუტინთან კონტაქტი თანდათან დაამყარა – ჯერ პუტინის დაცვის უფროსი, ვიქტორ ზოლოტოვი გაიცნო. დღეს ზოლოტოვი ეროვნული გვარდიის უფროსის პოსტს იკავებს.

### ტროლები

პრიგოჟინი საშინაო პოლიტიკითა და რუსული ოპოზიციის საქმიანობით ჯერ კიდევ მანამდე დაინტერესდა, ვიდრე „ტროლების ქარხანას“ დააარსებდა.

2012 წელს, პრიგოჟინის ხალხი დაუახლოვდა მოძრაობა „სამართლიანი არჩევნებისთვის“ წარმომადგენლებს და იმ დროს მიმდინარე ოპოზიციის მიტინგებს საკვებით ამარაგებდა.

რეალურად კი, პრიგოჟინის წარმომადგენლები მიტინგებზე ინფორმაციასა და მასალებს აგროვებდნენ ოპოზიციის ლიდერების შესახებ და შემდგომ ხელისუფლებას გადასცემდნენ.

სანკტ-პეტერბურგის სოფელ ოლგინოში, ევგენი პრიგოჟინმა რომ ნამდვილი „ტროლების ქარხანა“ აამუშავა, ცნობილი გახდა 2013 წელს, „ნოვაია გაზეტას“ გამოძიებიდან. გამოცემის ჟურნალისტმა ინტერნეტის კვლევის სააგენტოში მალულად დასაქმება მოახერხა. ტროლებს დღეში 100 კომენტარის დაწერა ევალებოდათ, მათ შორის, აშშ-სა და ნავალნის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 2013 წელს, „ტროლების ქარხანა“ ცდილობდა, გავლენა მოეხდინა აშშ-ში პოლიტიკურ პროცესებზე, „ტვიტერის“ მეშვეობით.

მაშინ ქარხანა არ იყო დიდი – სულ 200-მდე „ტროლი“ მუშაობდა, რომლებიც ჯგუფებად იყოფოდნენ: ზოგი უკრაინაზე სპეციალიზდებოდა, ზოგი ამერიკაზე. მაგრამ ქარხანამ თანდათან დაიწყო გაფართოება – „ტვიტერის“ გარდა, პრიგოჟინის ტროლებმა სხვა სოციალური ქსელებიც მოიცვეს.

2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რუსი „ტროლები“ ცდილობდნენ, კონსერვატორი ამომრჩევლების სიმპატია დონალდ ტრამპისკენ გადახრილიყო. 2018 წელს, პროკურორმა რობერტ მიულერმა ბრალი წაუყენა ევგენი პრიგოჟინს და რუსეთის თორმეტ სხვა მოქალაქეს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის გამო.

პრიგოჟინი თავდაპირველად უარყოფდა „ტროლების ქარხანასთან“ კავშირს, თუმცა 2023 წლის თებერვალში, მან განაცხადა, რომ ეს „ქარხანა“ მისი დაფუძნებელი იყო, რათა დაეცვა რუსი მომხმარებლები „დასავლეთის მხრიდან, ანტირუსული მესიჯებისა და აგრესიული პროპაგანდისგან“.

პოლიტოლოგ ტატიანა სტანოვაიას მოსაზრებით, პროგოჟინმა „ტროლების ქარხანა“ იმისთვის შექმნა, რომ შეეთავაზებინა ვლადიმერ პუტინისთვის ისეთი სერვისი, რომელსაც ოფიციალური ინსტიტუტები ეფექტიანად ვერ უზრუნველჰყოფდნენ. მუშაობა იქ, სადაც სახელმწიფო ვერ მუშაობს, სწორედ ის ნიშაა, რომელიც პრიგოჟინმა აქტიურად აითვისა 2010-იანი წლებიდან.

„ტროლების ქარხანასთან“ ერთად, გაჩნდა „მედია ქარხანაც“ – შეიქმნა ათობით ონლაინ გამოცემა, რომლებიც ავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას და ჰყავდათ მილიონობით

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# როდის, სად გაიცნო პუტინი და როგორ გახდა პრიგოჟინი გავლენიანი ფიგურა

*მე-3 გვერდიდან*

მკითხველი. „რატომ უნდა „ჩააგდო“ პრესაში შენთვის სასურველი ინფორმაცია, თუ შეგიძლია, საკუთარი პრესის შექმნა და იქ აკეთო რაც გინდა?“ – ასე ხსნის „მედია-ქარხნის“ შექმნის იდეას გამომძიებელი ჟურნალისტი დენის კოროტკოვი, თუმცა პრიგოჟინის მედია აქტიურობა მხოლოდ სოციალური ქსელებითა და საკუთარი მედიით არ შემოიფარგლებოდა. ბოლო წლებში, პრიგოჟინმა დააფინანსა რამდენიმე მხატვრული ფილმი – „Ржев“, „Шугалей“, „Шугалей-2“, „Турист“ и „Лучшие в аду“.

## ოპერაცია „ნავთობი“

რუსეთში დაქირავებული მებრძოლობა კანონით აკრძალულია: „არალეგალური შეიარაღებული ჯგუფის ორგანიზება ან მასში მონაწილეობა“ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 20 წლამდე ვადით, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პოლიტიკური ელიტისთვის, რომ 2010-იანი წლების დასაწყისში, სახელმწიფოს დაქვემდებარებული კერძო სამხედრო დაჯგუფება შეექმნათ.

რუსული კერძო სამხედრო კომპანიის იდეა გენერალურ შტაბში ჯერ კიდევ 2010 წელს დაიბადა. პუტინთან იდეა 2012 წელს შეათანხმეს. გენერალურმა შტაბმა სამხედრო კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პრიგოჟინი შეარჩია – ის პასუხისმგებელი იქნებოდა ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებზე. მის სასარგებლოდ არგუმენტებს შორის იყო პუტინთან პირადი ნაცნობობა. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ კომპანიის დამფუძნებელს არ ჰქონოდა კავშირი სპეცსამსახურებთან.

2013 წელს, ამ დაჯგუფებამ პირველი „ექსპედიცია“ სირიაში მოაწყო. უკვე 2014 წელს კი დაქირავებულები უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ყირიმში იბრძოდნენ. უკრაინისთვის გუნდის შეკრება რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილმა შეფმა, დიმიტრი უტკინმა, ზედმეტსახელად – „ვაგნერმა“ ითავა.

2015 წლის აგვისტოში, „ვაგნერელები“ სირიაში ჩავიდნენ, სადაც თავიდან წარმატებას მიაღწიეს, თუმცა მოგვიანებით, 2018 წელს, „ვაგნერელებს“ დიდი მარცხი ელოდათ – თებერვალში, აშშ-ს არმიასთან ბრძოლის დროს, ასზე მეტი მებრძოლი დაეღუპათ. ამხელა დანაკარგებმა აიძულა კრემლი ეღიარებინა, რომ სირიაში რუსი სამხედროები იბრძოდნენ (მანამდე ისინი უარს ამბობდნენ ამის აღიარებაზე). თუმცა, მოსკოვი ამბობდა, რომ რუსეთის მოქალაქეები სირიაში საკუთარი ნებით აღმოჩნდნენ და არა ორგანიზებულად.

ბრძოლა, რომელშიც „ვაგნერელები“ მაშინ დაიღუპნენ, ნავთობისთვის იყო. 2016 წელს, Euro Polis-მა, კომპანიამ, რომელიც ასოცირდება ევგენი პრიგოჟინთან, დადო ხელშეკრულება სირიის მთავრობასთან. ამ ხელშეკრულების თანახმად, „ვაგნერელები“ მონაწილეობას მიიღებდნენ სირიის ნავთობისა და გაზის საბადოების გათავისუფლებასა და დაცვაში, სანაცვლოდ კი, პრიგოჟინი ამ ტერიტორიებზე მოპოვებული გაზისა და ნავთობის მეოთხედს მიიღებდა.

სირიაში დიდი წარუმატებლობის მიუხედავად, პრიგოჟინმა მოახერხა, რომ „ვაგნერი“ არ დაშლილიყო. უფრო მეტიც, 2017 წლის ბოლოს, პრიგოჟინი დაინტერესდა აფრიკის ქვეყნებით და შეძლო ამ იდეის მომგებიანად მიყიდვა ვლადიმირ პუტინისთვის. მალე პრიგოჟინის საქმიანობა გაგრძელდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ლიბიაში, სუდანში, ლიბანში, კენიასა და ჩადში.

ისევე, როგორც სირიაში, აფრიკისადმი ინტერესიც განპირობებული იყო იქ დიდძალი ბუნებრივი რესურსების არსებობით: „ვაგნერელი“ მებრძოლების მომსახურების სანაცვლოდ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და სუდანში, პრიგოჟინთან დაკავშირებულმა კომპანიებმა მიიღეს ოქროს, ბრილიანტების და სხვა მინერალების მოპოვების ნებართვა.

„ვაგნერის“ საქმიანობა აფრიკის ქვეყნებში ამით არ შემოიფარგლებოდა – ჯგუფი აქტიურად ერეოდა ამ ქვეყნების შიდა საქმეებში – დადო შეთანხმებები ადგილობრივ მთავრობებთან, დაჰპირდა მათ დახმარებას საპროტესტო აქციების ჩახშობაში. რუსი დაქირავებულები აწარმოებდნენ დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ კამპანიებს აფრიკის ქვეყნებში და აწყობდნენ მიტინგებსა და საპროტესტო აქციებს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ფულის სანაცვლოდ გამოჰყავდათ.

„ვაგნერელები“ არაერთხელ დაუდანაშაულებიათ ომის დანაშაულების ჩადენაში – მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში, გაუპატიურებაში, სიკვდილით დასჯაში.

2022 წლამდე, ევგენი პრიგოჟინი უარყოფდა რამე კავშირს „ვაგნერთან“.

პრიგოჟინის სტრუქტურების საქმიანობის გამოძიებას ჟურნალისტების სიცოცხლეც შეეწირა...

## ომი

„ვაგნერელები“ უკრაინაში მხოლოდ მარტის ბოლოს გამოჩდნენ, რადგან უკრაინაში რუსული სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყებამდე, პრიგოჟინს უკვე გაფუჭებული ჰქონდა ურთიერთობა ქვეყნის ხელმძღვანელობასთან. პრიგოჟინის ურთიერთობა პუტინთან გაცივდა, მას კონფლიქტი ჰქონდა თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორთან.

შედეგად, ომი ისე დაიწყო, რომ ევგენი პრიგოჟინი იქ თავიდანვე არ მიუწვევიათ.

ომს ის მხოლოდ მარტში შეუერთდა და საკუთარი კვალიც დააჩნია.

აპრილში, „ვაგნერმა“ თავისი ყველაზე გამოცდილი მებრძოლები მოიხმო ფრონტზე: ზოგი დაბრუნდა აფრიკიდან და სირიიდან, ზოგიც შვებულებიდან გამოიყვანეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ „ახალწვეულმა“ „ვაგნერელებმა“ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს, თუმცა იყო წარმატებებიც: ივნისში, ორთვიანი ბრძოლის შემდეგ, „ვაგნერის“ ჯგუფის ჯარისკაცებმა შეძლეს აეღოთ პოპასნაია, პატარა ქალაქი ლუგანსკის რეგიონში.

ამ გამარჯვების შემდეგ, პრიგოჟინს მიენიჭა რუსეთის გმირის წოდება ფრონტზე დაქირავებულთა გაგზავნისთვის და ლუგანსკის რეგიონში წარმატებული შეტევისთვის.

გასული ზაფხულიდან, „ვაგნერის“ ხსენებას უკვე რუსი მაღალჩინოსნები და ფედერალური არხები აღარ ერიდებიან. ის საჯარო სივრცეში დასაშვები ფიგურა გახდა, მასზე სიუჟეტებს ამზადებენ სახელმწიფო ტელევიზიებში. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთში დაქირავებული მებრძოლობა და არალეგალური დაჯგუფების შექმნა კვლავ უკანონო საქმიანობად რჩება.

ზაფხულში პრიგოჟინის გავლენა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ „ვაგნერი“ პატიმრების რეკრუტირებას ახდენდა ომში გაგზავნის მიზნით. თავად პრიგოჟინი დადიოდა კოლონიებში და სთავაზობდა პატიმრებს ამნისტიას, უკრაინის ომში მონაწილეობის სანაცვლოდ. რეკრუტირებისას, უპირატესობა ენიჭებოდა ძალადობისადმი მიდრეკილებს და მსჯავრდებულებს სისხლის სამართლის მძიმე მუხლებით, ისეთებით, როგორებიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, სხეულის მძიმე დაზიანება, ასევე რეციდივისტობა.

„მედიაზონას“ შეფასებით, სექტემბრის ბოლოსთვის, ციხეების რაოდენობა 23 ათასი პატიმრით შემცირდა. კლება მოხდა ორთვიანი რეკრუტირების ფონზე. იანვრის ბოლოს კი პატიმართა უფლებების დამცველმა, ოლგა რომანოვამ განაცხადა, რომ პრიგოჟინს დაახლოებით 50 ათასი პატიმარი შეიძლებოდა გაეგზავნა ომში. ამავდროულად, მისი ვარაუდით, იმ კონკრეტულ მომენტში, პრიგოჟინის მიერ კოლონიებიდან გამოყვანილი მხოლოდ 10 ათასი მებრძოლი იბრძოდა. დანარჩენები ან დეზერტირობდნენ, ან დაიღუპნენ.

დეკემბერში, კოლონიებში პატიმრების რეკრუტირების მეორე რაუნდი დაიწყო. ვინც უარი თქვა, ახალი სისხლის სამართლის საქმეების გახსნით შეაშინეს. ოლგა რომანოვას თქმით, 2023 წლის თებერვალში, საქმეში უკვე თავდაცვის სამინისტროც ჩაერთო.

პატიმრების რაოდენობის ზრდა ფრონტზე არსებულ ვითარებაზეც აისახა. 2022 წლის ოქტომბერში, „ვაგნერის“ ჯგუფმა აიღო დიდი მონაკვეთი – გორლოვკას ჩრდილოეთ ნაწილიდან სოლედარამდე, ხოლო ზამთარში, უკრაინის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შემდეგ, „ვაგნერმა“ დაიწყო სვლა ბახმუტისკენ, სადაც ბრძოლები აგვისტოს შემდეგ მიმდინარეობს.

**„პრიგოჟინის კერძო სამხედრო კომპანია არის კვაზი-სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელსაც სახელმწიფომ ძალადობის რეპროდუქციის ლეგიტიმური უფლება მიანიჭა. ფაქტობრივად, ეს არის შეიარაღებული ნაწილები „აუთსორსზე“. ასეთები ადრე მხოლოდ კადიროვს და ზოლოტოვს ჰყავდათ“,** – ამბობს ილია შუმანოვი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – რუსეთის“ ყოფილი გენერალური დირექტორი.

შედეგად, ომმა პრიგოჟინი შესამჩნევ პოლიტიკური მოთამაშედ აქცია საზოგადოებრივ ასპარეზზე.

პრიგოჟინის გაზრდილი საჯაროობა ასევე აიხსნება მისი სხვა მიზნებით. როგორც „მედუზამ“ გასული წლის ნოემბერში დაწერა, პრიგოჟინის მედია-აქტივობა შემთხვევითი არ არის – პეტერბურგელი ბიზნესმენი ფიქრობს შექმნას „კონსერვატიული მოძრაობა“, რომელიც საბოლოოდ, შეიძლება, პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნას.

ეს მოძრაობა, დიდი ალბათობით, საყრდენად გამოიყენებს „პატრიოტიზმსა და სახელმწიფოებრიობას“ და რუსი ჩინოვნიკების კრიტიკით იქნება დაკავებული. ამ მოძრაობის რიტორიკა ასევე გადაიკვეთება „რევანშიზმის“ თემასთან და დაიწყებს სამხედრო წარუმატებლობებით გამოწვეული შურისძიების განცდის კულტივირებას.

პრიგოჟინის პარტიას თავისუფლად შეეძლო დაეკავებინა ჟირინოვსკის ცარიელი ადგილი.

ბიზნესმენის ძალისხმევა აშკარად არ არის უშედეგო: 2023 წლის იანვარში, პრიგოჟინი პირველად შევიდა მედიაში ყველაზე პოპულარული ადამიანების ათეულში. მას ბოლო ადგილი აქვს ათეულში, საიდანაც გააძევა სერგეი შოიგუ.

**„პრიგოჟინი ცდილობს, იყოს ყველაზე მაგარი რუს პატრიოტებს შორის. მაშინ, როცა ყველა მხოლოდ პატრიოტიზმზე ლაპარაკობს, ის ამ პატრიოტიზმს საკუთარი ხელით აკეთებს“,** – აღწერს პოლიტოლოგი, აბას გალიამოვი იმ პოლიტიკურ იმიჯს, რომელსაც „ვაგნერის“ ჯგუფის ხელმძღვანელი თავისთვის იკეთებს, თუმცა გალიამოვი დარწმუნებულია, პრიგოჟინის იმიჯს ნაკლებსავარაუდოა, რომ რეზონანსი ჰქონდეს რეალურ ამომრჩევლებთან. პრიგოჟინი, იდეოლოგიის დონეზე, შეიძლება აღიქმებოდეს ნამდვილ ანტიდასავლელ პატრიოტად, თუმცა რეალურად ის სტანდარტული კრიმინალია, რომელიც ძალაუფლებისკენ ისწრაფვის და ამას ამომრჩეველი ხედავს.

პოლიტოლოგ კონსტანტინე კალაჩევის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ქარიზმა და სურვილი, დაიკავოს სავარძელი, უახლოეს მომავალში, პრიგოჟინს არ უნდა ველოდოთ ხელისუფლებაში რამე თანამდებობაზე. კალაჩევი აღნიშნავს, რომ რუსეთში, კრემლის სანქციის გარეშე, შეუძლებელია პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩართვა. კრემლს კი, ნაკლებსავარაუდოა, რომ პრიგოჟინის თავის დერეფნებში ნახვა სურდეს, რადგან მისგან პოლიტიკოსობას არ მოელიან.

იმ დროს, როდესაც ზემოხენებულმა სტატიამ დღის სინათლე იხილა, პრიგოჟინს ამბოხება დაწყებული არ ჰქონდა, თუმცა ბოლო დროს, ის იგივე შოიგუზე მწვავე განცხდეებს აკეთებდა.

რა მოხდება? – ამის პროგნოზირება რთულია, თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ პრიგოჟინის ამბოხი უკვალოდ არ ჩაივლის და მხოლოდ შოიგუს კი არ შეინირავს, არამედ, შესაძლოა, გამოძახილი რამდენიმე თვის შემდეგ, უფრო რთული ფორმებით ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, ისე ჩანს, რომ პუტინი მან გაწირა, ვინც თავად აღაზევა, თუმცა კარგი დღე, ალბათ, არც თავად „მზარეულს“ ელის...

# რა ქონებას ფლობენ გასული კვირის მთავარი მოვლენების ფიგურანტები – სალომე ზურაბიშვილი და ნიკა გვარამია

მაკა რუხაძე

**22 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა „მთავარი“ არხის დამფუძნებელი და ერთ-ერთი მეწილე ნიკა გვარამია შეიწყალა. როგორც მოსალოდნელი იყო, სალომე ზურაბიშვილის ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ნაწილს გულწრფელად გაუხარდა, ნაწილი აღშფოთებას ვერ მალავდა, ნაწილმა „მკითხაობა“ დაიწყო, მიმართა თუ არა გვარამიამ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით – ეს იმიტომ, რომ როდესაც პატიმარი პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართავს, ნაწილობრივ დანაშაულს აღიარებს. სინამდვილეში, ყველაფერი გაცილებით მარტივად იყო – გვარამიას პრეზიდენტისთვის არ მიუმართავს, მაგრამ ქალბატონმა მთავარსარდალმა პრეზიდენტის დისკრეციული უფლება გამოიყენა და პატიმარი შეიწყალა... „ვერსია“ გასული კვირის მთავარი ფიგურანტების – სალომე ზურაბიშვილისა და ნიკა გვარამიას ქონებრივი დეკლარაციებით დაინტერესდა.**

პრეზიდენტის სახლები თბილისსა და პარიზში და ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლის მოკრძალებული დეკლარაცია

## სალომე ზურაბიშვილის ბიოგრაფია

ვიდრე ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, თვალი საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ბიოგრაფიას გადავავლოთ. დაიბადა 1952 წლის 18 მარტს, საფრანგეთში, პარიზში. ფლობს ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს.

რაც შეეხება განათლებას, 1969-1972 წლებში, სწავლობა პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, პარიზში.

ამის შემდეგ, სწავლა განაგრძო კოლუმბიის უნივერსიტეტში, საერთაშორისო და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლაში, ნიუ-იორკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიური და პოლიტიკური კარიერა 1974-2004 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში, დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (საელჩოები იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩადში); საფრანგეთის წარმომადგენლობებში (გაერო, ნატო, დასავლეთ ევროპის კავშირი, ეუთო); მუშაობდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის ეროვნული თავდაცვის გენერალურ სამდივნოში, საერთაშორისო და სტრატეგიულ საქმეთა დირექტორად; საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სტრატეგიულ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსად.

2003 წელს, მიენიჭა საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის წოდება;

2003 წელს, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია საქართველოში;

2004-2005 წლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ, 2006 წლის 11 მარტს, დააფუძნა პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“.

2006-2015 წლებში, პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი იყო, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

2010 წლიდან 2015 წლის დეკემბრამდე, ხელმძღვანელობდა გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ირანის სანქციების მონიტორინგის ჯგუფს.

2016 წელს, საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატია;

2018 წლის დეკემბრიდან, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს რიგით მეხუთე პრეზიდენტია.

## რა ქონებას ფლობს პრეზიდენტი

ბოლოს, ქონებრივი დეკლარაცია პრეზიდენტმა 2023 წლის 26 იანვარს შეავსო. დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ ქალბატონი პრეზიდენტის საკუთრებაშია 2006 წელს, 160 000 აშშ დოლარად შეძენილი 126.33 კვ.მ ფართობის სახლი თბილისში, კუფტინის ქუჩაზე და 235 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, იგივე მისამართზე.

გარდა ამისა, სალომე ზურაბიშვილი ფლობს 60 კვ.მ. ფართობის ბინას საფრანგეთში, პარიზში, რომლის ღირებულებაა 150 000 ევრო.

დეკლარაციის შევსების მომენტში, პრეზიდენტი ფლობდა: „საქართველოს ბანკის“ ანაბარზე – 30 000 აშშ დოლარს, სახელფასოზე – 11 694 ევროს, „სოსიეტე ჟენერალ პარის“ ბანკის ანგარიშზე – 27 621 ევროს. პრეზიდენტის წინა წლის შემოსავალი 76 560 ლარი იყო.

დეკლარაციიდან ირკვევა ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი, რომლის მიხედვით, ქველმოქმედების სახით, „სალომე ზურაბიშვილის ფონდმა“ – 40 000 ლარი, ხოლო თავად პრეზიდენტმა – 17 130 ლარი გასცა.

რაც შეეხება დაგროვებით პენსიას, შემოსავლის სახით, სალომე ზურაბიშვილს 34 093 ევრო მიუღია.

## ნიკა გვარამიას ბიოგრაფია

ის ქართველი იურისტი, პოლიტიკოსი და ბიზნესმენია. ყოველ შემთხვევაში, „ვიკიპედიაზე“ დაყრდნობით, ასეა. მოკლედ, ქართული „ვიკიპედიის“ დახმარებით, გავიხსენოთ ნიკა გვარამიას ბიოგრაფია, მაგრამ ჯერ ზოგად ინფორმაციას გავეცნოთ: 2007 წლის მარტში, ნიკა გვარამია დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ.

2008 წლის 31 იანვრიდან 2008 წლის 27 ოქტომბრამდე, იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 2008 წლის 27 ოქტომბრიდან 2009 წლის 7 დეკემბრამდე, ნიკა გვარამია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და ინტელექტკლუბის – „რა? სად? როდის?“ მოაზროვნეა. 2012 წლის 14 ნოემბერიდან 2019 წლის 18 ივლისამდე, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორია და იმავდროულად, „მთავარი არხის“ დამფუძნებელი და მეწილე გახლავთ. 2022 წელს, ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მოგვიანებით, 2023 წლის 22 ივნისს, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა იგი შეიწყალა.

ნიკა გვარამია დაიბადა 1976 წლის 29 ივნისს ქალაქ სოხუმში. 1998 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამის შემდეგ, 2000-2003 წლებში, იგი საადვოკატო კომპანიაში – შპს „სანდო“ მუშაობდა. 2004 წელს, მუშაობდა სს „თელასში“. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები “. არჩეული იყო პარტიული სიით საქართველოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება – კონსერვატორების პარტიიდან. იყო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის, იურიდიული საკითხთა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი და პარლამენტის საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“ დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა დარღვევის საკითხის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტი ნიკა გვარამიამ საკუთარი ნებით დატოვა და ის დიმიტრი შაშკინმა ჩაანაცვლა.

## რა ქონებას ფლობს გვარამია

უკანასკნელად, ქონებრივი დეკლარაცია ნიკა გვარამიამ, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, 2010 წლის 5 იანვარს შეავსო. მართალია, ახლა ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა არსებობს გვარამიას ქონებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, „მთავარი“ არხის დამფუძნებლის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი და სახლი ბეთანიაში და საკმაოდ მდიდარიც გახლავთ. თუმცა, 2010 წელს შევსებული დეკლარაციით, განათლებისა და მეცნიერების ექს-მინისტრი საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა.

ნიკა გვარამიას საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი სოხუმში. მასვე ეკუთვნის ბინა თბილისში, რომელიც იმ დროისთვის, 12 4000 ლარად შეუფასებიათ. დეკლარაციის მიხედვით, ნიკა გვარამია არ ფლობს ფასიან ქაღალდებს. დეკლარაციის შევსების დროს, ბანკი „რესპუბლიკას“ მიმდინარე ანგარიშზე 600 ლარი ერიცხებოდა. დეკლარაციის შევსების დროს, ნიკა გვარამიას არ ჰქონდა ხელთ ნაღდი ფული, რომელიც აღემატებოდა 4 000 ლარს. ნიკა გვარამიას ოჯახი არ მონაწილეობდა სამეწარმეო საქმიანობაში და შესაბამისად, არც ამ საქმიანობიდან მიუღია შემოსავალი.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, ნიკა გვარამიას ხელფასი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე – 39 710 ლარი გახლდათ. დეკლარაციაშივე მითითებულია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – 2007 წელს, ნიკა გვარამიამ საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმა ბანკ „რესპუბლიკასთან“. ნიკა გვარამიას ოჯახს იმ დროისთვის არ ჰქონდა მიღებული ისეთი ძვირადღირებული საჩუქარი, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა 500 ლარს.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

# რა გზა გაიარა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე

## ქრონოლოგია, რომელიც ყველამ უნდა ვიცოდეთ

**ერთი წლის წინ, ევროკომისიამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვას მიანიჭა, საქართველომ კი ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა მიიღო. ევროკომისიის რეკომენდაციით, საქართველო წევრობის კანდიდატი გახდება, თუკი ამ 12-პუნქტიან გეგმას შეასრულებს:**

**1. აღმოფხვრის პოლიტიკურ პოლარიზაციას; 2. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი გამართულად იმუშავებს. გაიზრდება მათი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული ზედამხედველობა მათზე. ხელისუფლება გაითვალისწინებს ეუთო-ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებს საარჩევნო სისტემაზე; 3. მიიღებს გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას; 4. გააძლიერებს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობას და ეფექტიანად გამოიძიებს ელიტური კორუფციის შემთხვევებს; 5. აიღებს და შეასრულებს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულებას; 6. გააძლიერებს ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიებს სამართალდარღვევებს; 7. შექმნის თავისუფალ, პროფესიონალურ, პლურალისტურ და დამოუკიდებელ მედიაგარემოს; 8. სასწრაფოდ დაიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს; 9 „გააერთიანებს ძალისხმევას“ გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად; 10. ჩართავს სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღებაში, „ყველა დონეზე“; 11. მიიღებს კანონს, რომელიც უბიძგებს ქართველ მოსამართლეებს, „პროაქტიულად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები“; 12. ახალ სახალხო დამცველად დაინიშნება დამოუკიდებელი ადამიანი. დანიშვნა იქნება გამჭვირვალე, მისი სამსახური – ზეგავლენებისგან თავისუფალი.**

საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირისგან ამ რეკომენდაციების მიღებისთანავე წარადგინა გეგმა, თუ როგორ აპირებდა 12 პუნქტის შესრულებას და დღეს მმართველი ძალა ამტკიცებს, რომ აღნიშნული პუნქტების უმრავლესობა უკვე შესრულებული და საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებულია. თუმცა, ოპოზიცია საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან კომუნიკაციის საფუძველზე იუწყება, რომ 12-პუნქტიან გეგმას ხელისუფლება არ ასრულებს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად ვადა იწურება და მაშინ, როცა საქართველოს ევროკავშირში კარის შესაღებად წამზომი ჩართული აქვს, „ვერსია“ გთავაზობთ დეტალურ ქრონოლოგიას, თუ რა გზა განვლო საქართველომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ 2023 წლამდე, ევროპულ ოჯახში გასაწევრიანებლად (გარდა 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებისა)...

საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობები 1991-92 წლებში, მას შემდეგ დაიწყო, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია (წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო):

1993 წლიდან, საქართველოში ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: საფინანსო, ჰუმანიტარული (ძირითადად, სასურსათო დახმარების სახით) და ტექნიკური.

1995 წლიდან, საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP). 2005 წელს, საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP +) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის. 2014 წლის იანვარში, ძალაში შევიდა განახლებული GSP +, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა.

1996 წელს, ლუქსემბურგში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის, ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA). პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ძალაში შესვლის შემდეგ, შეიქმნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანია PCA-ს განხორციელების ხელშეწყობა და ორმხრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება. ეს ინსტიტუტებია:

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო; საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი; საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი; საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტები.

აღნიშნული სხდომები იმართება წელიწადში ერთხელ, ასევე, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, იმართება შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის (PSC) „ტროიკას“ ფორმატით.

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ (EU Special Representative for the South Caucasus). ეს თანამდებობა 2003 წლიდან 2006 წლამდე ეკავა ჰეიკი ტალვიტის, ხოლო 2006 წლიდან 2011 წლამდე – პიტერ სემნების. 2011 წლის 25 აგვისტოს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობები. ამ პოზიციაზე დაინიშნა ფილიპ ლეფორი, რომლის მანდატი 2014 წლის 31 იანვარს ამოიწურა. 2014 წლის 8 ივლისს, აღნიშნულ თანამდებობაზე ჰერბერტ ზალბერი დაინიშნა.

2004 წლის 17 თებერვალს, საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

2004 წელს, ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში, საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS).

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში.

2006 წლის 14 ნოემბერს, მიღებული იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

2007 წელს, TACIS ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა, რომელიც, თავის მხრივ, 2014 წლიდან, ევროპულმა სამეზობლო ინსტრუმენტმა (ENI) შეცვალა.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის, 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პასუხად, 2008 წლის 1 სექტემბერს, გაიმართა ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა.

2008 წლის 15 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM), რომელიც საქართველოში მოვლენილ იქნა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან.

2008 წლის 25 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი, რომელიც 2011 წლამდე ეკავა პიერ მორელის.

2009 წლის აპრილიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი – ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). შეხვედრები აღნიშნული ფორმატის ფარგლებში, იმართება ყოველწლიურად.

2009 წლის 7 მაისს, პრაღაში, გაიმართა პირველი, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი“.

2009 წელს, საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში, რომელსაც ფორმალურად საფუძველი 2009 წლის 7 მაისს, პრაღის სამიტზე ჩაეყარა. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ინიციატივის, როგორც ორმხრივი, ასევე, მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატში. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

2009 წლის 30 ნოემბერს, ბრიუსელში, ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ერთობლივ დეკლარაციას, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის 16 თებერვალს.

2010 წლის 17 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო მოლაპარაკებები

*გაგრძელება მე-7 გვერდზე*

# რა გზა გაიარა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე

*მე-6 გვერდიდან*

საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“ (AA), რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც“ (DCFTA).

2010 წლის 22 ნოემბერს, ბრიუსელში ხელი მოეწერა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას. ორივე შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“ (AA), რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც“ (DCFTA).

2010 წლის 2 დეკემბერს, ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ“ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს, ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა“.

2011 წლის 14 ივლისს, ხელი მოეწერა და 2012 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ვარშავაში გაიმართა მეორე „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი“.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA).

2012 წლის 4 ივნისს, გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2012 წლის 5 ივნისს, კიშინიოვში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის პირველი, საინაუგურაციო შეხვედრა.

2013 წლის 12-13 თებერვალს, თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა, რომელიც პირველად მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრასაც ტრანსპორტის დარგში.

2013 წლის 25 თებერვალს, საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

2013 წლის 27-28 ივნისს, თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი მინისტერიალი კულტურის დარგში;

2013 წლის 30 სექტემბერი-1 ოქტომბერს, შედგა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ელჩების ვიზიტი საქართველოში.

2013 წლის 12-13 სექტემბერს, ერევანში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მესამე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს განათლების საკითხებზე.

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი.

ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს, მოხდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით (ქართულ ენაზე; ინგლისურ ენაზე). „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. ახალი თაობის შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს (იხილეთ გზამკვლევი). „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2013 წლის 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე ხელი მოეწერა „ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებას“.

2013 წლის 12 დეკემბერს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

2014 წლის 20 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე.

2014 წლის 21 მაისს, ბრიუსელში, ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების კუთხით, გაიმართა შეხვედრა ევროკომისიის კოლეგიასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის ფარგლებშიც მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება.

2014 წლის 26 ივნისს, საქართველომ და ევროკავშირმა მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით.

2014 წლის 9 სექტემბერს, ბაქოში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეოთხე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრას ენერგეტიკის საკითხებზე.

2014 წლის 17 ნოემბერს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ამოქმედდა ახალი ინსტიტუციური ჩარჩო – ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და დარგობრივი ქვეკომიტეტები, რომელსაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს. სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2015 წლის 20 აპრილს, ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის~ საგარეო საქმეთა მინისტრთა რიგით მეექვსე შეხვედრა.

2015 წლის 21-22 მაისს, რიგაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეოთხე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2015 წლის 2 ივნისს, თბილისში, საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა.

2015 წლის 29 ივნისს, მინსკში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეხუთე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს გარემოს დაცვის საკითხებზე.

2015 წლის 16 ნოემბერს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2015 წლის 26 ნოემბერს, თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის რიგით მეექვსე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ჯანდაცვის საკითხებზე.

2015 წლის 30 ნოემბერი-2 დეკემბერი, საქართველოში იმყოფებოდნენ ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფის (COEST) წარმომადგენლები.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესრულების რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.

2016 წლის 9 მარტს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო მეოთხე ანგარიშის საფუძველზე, ევროკომისიის მიერ ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო პროცედურები და ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას.

2016 წლის 23 მაისს, ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა რიგით მეშვიდე შეხვედრა.

2016 წლის 23 მაისის, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირმა დაასრულა საქართველოსთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა.

2016 წლის 16 ივნისს, ბრიუსელში, საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომა.

2016 წლის 23 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ შეთანხმებას.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# რა გზა გაიარა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე



*მე-7 გვერდიდან*

2016 წლის 1 ივლისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, ძალაში შევიდა.

2016 წლის 11-12 ივლისს, კიევში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეშვიდე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხზე.

2016 წლის 17 ნოემბერს, ერევანში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მერვე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს კვლევის, მეცნიერების და ინოვაციის განვითარების საკითხებს.

2016 წლის, 2 დეკემბერს, ბრიუსელში გაიმართა ასოცირების საბჭოს რიგით მესამე სხდომა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა.

2017 წლის 19 ივნისს, ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა მერვე შეხვედრა.

2017 წლის 22 ივნისს, თბილისში, საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა.

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველო ოფიციალურად გახდა ენეგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი (2016 წლის 14 ოქტომბერს, ხელი მოეწერა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ ოქმს, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივლისს).

2017 წლის 10 ივლისს, კიშინიოვში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეცხრე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ენერგეტიკის საკითხებზე.

2017 წლის 5-6 ოქტომბერს, შედგა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ელჩების ვიზიტი საქართველოში.

2017 წლის 11 ოქტომბერს, თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის პირველი შეხვედრა.

2017 წლის 20 ნოემბერს, საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის დაამტკიცეს. ახალი დღის წესრიგი უფრო მეტად ამბიციურია და საქართველოს აძლევს საშუალებას, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს.

2017 წლის 24 ნოემბერს, ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორის“ მეხუთე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2018 წლის 5 თებერვალს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-4 სხდომა. სხდომის ფარგლებში მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2018 წლის 21-22 ივნისს, მინსკში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეათე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ჰარმონიზაციისა და ციფრული ბაზრის საკითხებზე.

2018 წლის 26 ივნისს, ბრიუსელში, საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეოთხე სხდომა.

2018 წლის 15 ოქტომბერს, ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტერიალის მეცხრე შეხვედრა.

2018 წლის 23 ოქტომბერს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მეორე შეხვედრა.

2018 წლის 21 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის მაღალი დონის პირველი შეხვედრა.

2018 წლის 10-12 დეკემბერს, თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეათე ყოველწლიური ასამბლეა.

2019 წლის 5 მარტს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომა. სხდომის შემდგომ, მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2019 წლის 18 ივნისს, თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეხუთე სხდომა.

2019 წლის 11-12 ივლისს, ბათუმში გაიმართა ბათუმის ტრადიციული მე-16 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ათი წლისთავს.

2019 წლის 25 ოქტომბერს, თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მესამე შეხვედრა.

2020 წლის 11 ივნისს, ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტერიალის მეათე შეხვედრა.

2020 წლის 18 ივნისს, ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერთა შეხვედრა.

2020 წლის 2 აგვისტოს, ძალაში შევიდა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ“ შეთანხმება.

2020 წლის 15 დეკემბერს, ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეექვსე სხდომა.

2021 წლის 16 მარტს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მეექვსე სხდომა. სხდომის შემდგომ მიღებული იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2021 წლის 17 მაისს, კიევში, საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ, მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აურელიუ კიკომ ხელი მოაწერეს ევროკავშირის სამი ასოცირებული ქვეყნის – საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, „ასოცირებული ტრიოს“ დაფუძნების თაობაზე.

2021 წლის 19 ივლისს, ბათუმში გაიმართა ბათუმის ტრადიციული მე-17 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“ ჰიბრიდულ ფორმატში.

2021 წლის 19 ივლისს, ბათუმში, ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, საქართველომ უმასპინძლა ასოცირებული სამეულისა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტის ლიდერთა შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც „ასოცირებული ტრიოს“ ლიდერებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას.

2021 წლის 15 ნოემბერს, ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

2021 წლის 25 ნოემბერს, ბრიუსელში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირის შორის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მეოთხე შეხვედრა.

2021 წლის 15 დეკემბერს, ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეექვსე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2021 წლის 15 დეკემბერს, ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-6 სამიტის შემდეგ ასოცირებული ტრიოს – საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის და უკრაინის სახელმწიფო/მთავრობის მეთაურებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება.

**2022 წლის 3 მარტს, საქართველომ განაცხადი შეიტანა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ.**

2022 წლის 24-25 მარტს, თბილისში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის რიგით მე-7 სხდომა გაიმართა.

**2022 წლის 23 ივნისის, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა.**

2022 წლის 6 სექტემბერს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-6 სხდომა. სხდომის შემდგომ მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2022 წლის 26-30 სექტემბერს, საქართველოში იმყოფებოდნენ ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფის (COEST) წარმომადგენლები.

2022 წლის, 15 ნოემბერს, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას ტრანსპორტის გაერთიენებაში (TCT) დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა.

2022 წლის 12 დეკემბერს, ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტერიალის შეხვედრა.

2022 წლის 25 დეკემბერს, თბილისში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირის შორის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მეხუთე შეხვედრა.

# სამართალი

№23 28 ივნისი 2023 წ


# უშიშროების თანამშრომელმა ვეტერანი პედაგოგი მოკლა

## ტრაგედია, რომელმაც გამომძიებელი დაშოკა

ბათო ჯაფარიძე

**ალბათ, ყველას ჰყავს ისეთი ადამიანი, რომლისგანაც ბევრს სწავლობს. არ ვგულისხმობთ მშობელს, ან უფროს დედმამიშვილს, უბრალოდ, შეიძლება ეს იყოს მეზობელი, კოლეგა, მეგობარი, რომელიც შენზე გამოცდილია, ბევრი აქვს ნანახი და გამოცდილებას გიზიარებს, გეუბნება, რა და როგორ სჯობს. ასეთ ადამიანებს ვუფრთხილდებით, გვახსოვს, პატივს ვცემთ... შედეგად, ყალიბდება განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც მუდამ გვახსოვს და რა დროც უნდა გავიდეს, ვხვდებით, რომ ეს ადამიანი ჩვენი ცხოვრებიდან არსად წასულა. ის ყოველთვის ჩვენს გვერდითაა და ნებისმიერ დროს შეგვიძლია შევეხმიანოთ, ისიც რჩევას მოგვცემს, შეწუხდება, არ დაიზარებს...**

„მყავდა ერთი ასეთი მასწავლებელი, დამრიგებელი იყო ჩემი. ომის ვეტერანი გახლდათ, ყველას მამაშვილურად გვექცეოდა, მაგრამ ბოლოს ორნი შევრჩით, მე და ჩემი თანაკლასელი. ურთიერთობა არც სკოლის შემდეგ გაგვიწყვეტია, თანაც ორივე ძალოვანები გავხდით, მე შინაგან საქმეთა სამინისტროში წავედი, ჩემი თანაკლასელი – უშიშროებაში. ხან ერთად ვაკითხავდით, ხან – ცალ-ცალკე. მოკლედ, საუცხოო ურთიერთობა გვქონდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველასთვის მოულოდნელად, ომის ვეტერანი, უკვე პენსიაზე გასული მასწავლებელი გარდაცვლილი იპოვეს. ბატონი თენგიზი საკმაოდ გამოცდილი გამომძიებელი გახლდათ, ავტორიტეტითაც სარგებლობდა და ამიტომ, როცა ითხოვა, ამ საქმის გახსნა მე მომანდეთო, უარი არ უთქვამთ. მეტიც, მისი თანაკლასელი, უშიშროების თანამშრომელი, იმ დღესვე კაბინეტში ეწვია მეგობარს და უთხრა, თუ ჩემი და ჩემი კანტორის მხრიდან რამე დახმარება დაგჭირდება, გვერდით მიგულეო. მაშინ ბატონმა თენგიზმა არ იცოდა, უფრო სწორად, ვერც კი წარმოდგენდა, რომ საქმეს „გრიფით საიდუმლო“ დაედებოდა.

ექსპერტის დასკვნით, მამაკაცი გაგუდეს. ის სახლისკენ მიდიოდა, როცა უკნიდან მიეპარნენ და ყელში, სავარაუდოდ, ფეხსაცმლის თასმა, ან რაღაც ამდაგვარი, წვრილი ზონარი წაუჭირეს. სავარაუდოდ, მკვლელმა თავის საქმე კარგად იცოდა, რადგან ასაკის მიუხედავად, გარდაცვლილი საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებოდა, თუმცა წვრილი ზონარი ყელის კანში მყარად ჩაერჭო და ამიტომაც, მასწავლებელმა თავდამსხმელისგან თავის დაღწევა ვერ მოახერხა. ექსპერტი იმასაც ამბობდა, ზონარი იმდენად წვრილი იყო, ხოლო თავდასხმა, სავარაუდოდ, იმდენად მოულოდნელი, ამას ქალიც მოახერხებდა, დიდი ძალა არ დასჭირდებოდა მოხუცის გაგუდვასო. რაღა თქმა უნდა, გამომძიებელმა შესაძლო თვითმხილველების ძებნა დაიწყო და... მისდა გასაკვირად, ასეთს მალე მიაგნო. კორპუსის ერთ-ერთი მაცხოვრებელი ამტკიცებდა, ზუსტად ვიცი, მკვლელი ვინც არის, შემიძლია, სახელი და გვარი გითხრათო.

„მოწმე ამბობდა, დარწმუნებული ვარ, ის საწყალი ჩვენმა მეზობელმა ქალმა გაგუდა, რადგან, დავინახე, სწორედ იმ დროს, როცა მკვლელობა მოხდა, ის ქალი როგორ გარბოდა, ქურთუკით ვიცანი და ვიცანი იმიტომ, რომ ორი კვირის წინ, ის ქურთუკი მე ვაჩუქე. მკვლელობის მოტივზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემი ქურთუკი არ შემეშლებოდა. ისიც კი ვიფიქრე, ეს ქალი სად გარბის-მეთქი და ზუსტად 5 წუთში, იმ ადგილზე კივილი ატყდა, მოკლეს, მოკლესო იძახდნენ“, – ასეთი რამ თქვა თვითმხილველმა დაკითხვაზე და რაღა თქმა უნდა, ეჭვმიტანილის გვარიც დაასახელა. რა ძნელი მისახვედრია, რომ გამომძიებელმა დასახელებული ქალის დაკავება ბრძანა და ის ოპერმუშაკებმა... კორპუსის სარდაფში იპოვეს.

„ჩემთვის არაფერს აქვს მნიშვნელობა, გსურთ, რომ გამასამართლოთ, არც ეგ არის პრობლემა. იმ უბედურის მკვლელობას მაბრალებთ, იყოს, არ გავჯიუტდები, თქვენც გახსნილი საქმე დაგეწერებათ და მეც ქუჩა-ქუჩა აღარ ვიწანწალებ“, – თქვა დაკავებულმა. მისგან ასეთ მარტივ დანებებას გამომძიებელი აშკარად არ ელოდა და ქალზე ყველა ინფორმაციის მოძიება სცადა.

როგორც გაირკვა, ეს ქალბატონი, რომელიც დაკავების მომენტისთვის 38 წლის იყო, მას შემდეგ გაუბედურდა, რაც ქმარი გარდაეცვალა. მოტყუებით, ბინა ვიღაც თაღლითებზე გადააფორმა, რომლებმაც გაყიდეს და საბოლოოდ, ქალი – ორი ბავშვით, ქუჩაში აღმოჩნდა. წასასვლელი რომ არსად ჰქონდა, საცხოვრებლად სარდაფში ჩავიდა, იქაც არ მოასვენეს, ვიღაცებმა უჩივლეს და ორი ბავშვი უბრალოდ წაართვეს, ბავშვთა სახლში წაიყვანეს. სამსახურიდან, სადაც ქალი მუშაობდა, მოულოდნელად დაითხოვეს და როგორც თავად ამბობდა, მისი უშუალო უფროსი სექსუალურ ურთიერთობას სთხოვდა, უარის შემდეგ კი გააგდო, მაგრამ მილიციაში არ წასულა, რადგან ზუსტად იცოდა, უპატრონოს არავინ მიხედავდა და ზუსტად ისე დაიკიდებდნენ ფეხებზე, როგორც ბინის დაკარგვის დროს. მეზობლების ნაწილს ის ეცოდებოდა, ნაწილს – არ აინტერესებდა, თუმცა საკვებსა და ტანსაცმელს მაინც აძლევდნენ ხოლმე. როცა ქურთუკზე ჩამოვარდა სიტყვა, ქალმა მხრები აიჩეჩა – ეგ მეც მაინტერესებს, ქურთუკი მაჩუქეს, ისეთი ძველი და დაკერებული იყო, ჩაცმის მრცხვენოდა, მაგრამ ვიღაცამ მომპარა, სარდაფის ჩასასვლელში მეკიდა და იქიდან ჩამოხსნაო.

„რაღად გინდა, რომ ეძებ და უკირკიტებ ამ საქმეს? აღიარებითი ჩვენება გაქვს, შეიძლება, მოტივი მყარი არ არის, მაგრამ საქმე გახსნილია, გადაეცი სასამართლოს“, -ურჩია გამომძიებელს მეგობარმა.

„ჩემთვის, თითქოს, ყველაფერი გასაგები იყო და ამავდროულად, აბსოლუტურად გაუგებარი გახლდათ. მეზობლების დაკითხვის შემდეგ გავარკვიე, რომ ჩემს მასწავლებელს დაკავებულთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რაც არ გამკვირვებია, ის მუდამ გაჭირვებულების მხარეს იყო. თავად ცოლ-შვილი არ ჰყავდა და დარწმუნებული ვარ, დაობლებულ ბავშვებს საკუთარივით უვლიდა, რაც ქალმაც დაადასტურა, თან გვყვებოდა, მეუბნებოდა, ჩემთან გადმოდით, ორი ოთახი მაქვს, დავეტევითო, მაგრამ მერიდებოდა და მუდმივად უარს ვეუბნებოდიო. ამიტომ, საქმის გადაცემას არ ვჩქარობდი და ირიბი აღიარების მიუხედავად, არ მჯეროდა, რომ მკვლელი მყავდა დაჭერილი. თანაც, ქალი მკვლელობას აღიარებდა და ამავდროულად ამბობდა, რომ ქურთუკი, რომლითაც მეზობელმა იცნო, მოპარეს“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებელმა დაკავებული კიდევ ერთხელ დაკითხა და პირდაპირ მიახალა, არ მჯერა, რომ მკვლელი ხარ და ეგებ, ისეთი რამ გაიხსენო, რაც აქამდე არ გითქვამს და ერთი შეხედვით, უმნიშვნელო და ამავდროულად, უცნაური გგონიაო.

„რა უნდა გავიხსენო? ის თაღლითები, რომლებმაც ბინის გარეშე დამტოვეს, გარდაცვლილთანაც იყვნენ, ორჯერ ვნახე. პირველად მხოლოდ კაცი ვნახე, ის უბედური მამაშვილურად ესაუბრებოდა, მეორედ უკვე ის კაცი, ქალთან ერთად იყო მოსული და მძიმე საუბარი შედგა, ლამის ხელიც დაარტყა. რაზე საუბრობდნენ, არ ვიცი, მაგრამ ის კაციცა და ქალიც კარგად მახსოვს, თუ მანახებთ, სახეზე ამოვიცნობ“, – თქვა ქალმა.

ყველაფერთან ერთად, განყოფილებაში ადვოკატი მივიდა და განაცხადა, გარდაცვლილი ჩემი კლიენტი იყო და ბოლო დღეებში, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბინა ვიღაც ქალისთვის გადაეფორმებინა, იმ ქალის სახელი და გვარი ჩაწერილი მაქვსო. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო გამომძიებლის გაოცება, როცა გაიგო, რომ მისი მასწავლებელი ბინას... მკვლელობაში ეჭვმიტანილს უფორმებდა, მაგრამ ვერ მოასწრო. ეს თითქოს მოტივი იყო, მაგრამ როცა ეჭვმიტანილ ქალს ამის შესახებ ჰკითხეს, გულწრფელად გაუკვირდა, არ ვიცოდი, თუ ბინის გადაფორმებას ჩემზე აპირებოდაო. საქმე კიდევ უფრო ჩაიხლართა, გამოდიოდა, რომ დაკავებულს ყველაზე ნაკლებად აწყობდა მკვლელობა, თუმცა გამომძიებელი მის გაშვებას არ ჩქარობდა, რადგან არ სურდა, რეალური დამნაშავე დაეფრთხო. კვანძი მაშინ გაიხსნა, როცა ამას არათუ არავინ ელოდა, ვერც კი წარმოიდგენდა.

„მეგობარმა დამირეკა უშიშროებიდან, რა ეტაპზეა საქმეო? მუდმივად მეკითხებოდა და არც მიკვირდა, რადგან სწორედ ჩვენ ორს გვქონდა გარდაცვლილთან ურთიერთობა. ვუთხარი, რომ ერთ ადგილზე ვიდექი, ვერც წინ მივვდიოდი, ვერც უკან და იმ ქალსაც მხოლოდ იმიტომ არ ვუშვებდი, ნამდვილი მკვლელები რომ არ დამეფრთხო. მითხრა, 20 წუთში მოვალო და კარგი-მეთქი. ტელეფონი რომ გავთიშე, ვიფიქრე, დაკავებულს მასთან ერთად დავკითხავ, უშიშროების თვალი მაინც სხვა არის-თქო და მორიგეს ვუთხარი, ჩემი მეგობარი რომ მოვიდოდა, დაკავებული ამოეყვანა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

უშიშროების თანამშრომელს სხვა იდეა ჰქონდა – ქალი გაეშვათ და მასზე თვალთვალი დაეწესებინათ, ეგებ, მკვლელებს მისი მოშორებაც ეცადათ. ამ დროს, მორიგემ დაკავებული შემოიყვანა და ქალმა მოულოდნელობისგან შეჰკივლა – სწორედ ეს არის, ვისაც მოკლული ეჩხუბებოდა, ქალთან ერთად იყო და ამათმა წამართვეს ბინაო. გამომძიებელი ლამის შოკში ჩავარდა, რადგან კარგად დაინახა, როგორ შეეცვალა მის მეგობარს სახე, შემდეგ როგორ ისკუპა კარისკენ, მორიგე ერთი დარტყმით როგორ გათიშა და გარეთ გავარდა. მასზე ძებნა გამოცხადდა, საქმეს კი გრიფით საიდუმლო დაედო და ის უშიშროებამ წაიღო.

„ყველაფერი ორ კვირაში დასრულდა. ჩემი მეგობარი დააკავეს, მისი მეგობარი ქალიც დააპატიმრეს. მკვლელობა ქალმა აღიარა, ჩემმა მეგობარმა კი ის თქვა, რომ მასწავლებლის მოკვლა აზრადაც არ ჰქონია, თუმცა მისმა მეგობარმა ქალმა ეს ყველაფერი შეუთანხმებლად გააკეთა. რაც მთავარია, ეს არ იყო არც პირველი და არც მეორე ბინა, რომელიც წყვილმა თაღლითურად ჩაიგდო ხელში. უშიშროების თანამშრომელი სიტუაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ალაგებდა და ყველაფერი, თითქოს, ძალიან მარტივად ხდებოდა. ქალს სასამართლომ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ჩემს მეგობარს მხოლოდ 7 წელი მისცეს. რაც შეეხება დაკავებულს, მას შვილებიც დაუბრუნეს და ბინაც“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

# ვინ შემოიტანა რუსეთიდან საქართველოში ვირთხების აკრძალული საწამლავი

## როგორ გახსნეს ძალოვნებმა „მღრღნელების შემოსევის“ საქმე

ბათო ჯაფარიძე

**მულტფილმი „სიზმარა“, ალბათ, ყველას ნანახი გაქვთ და მეფის ფრაზა, რომელსაც „სულ ვირთხები და ვირთხები ესიზმრება“, ნახატ ფილმში ხშირად ისმის. შესაძლოაა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვირთხას ვეძახით, რეალურად ვირთაგვაა და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ფართოდაა გავრცელებული. ეს იმის მიუხედავად, რომ ვირთაგვებს ყველგან ებრძვიან, წამლავენ, მათზე სანადიროდ სპეციალურად ზრდიან ძაღლებს, კატებს, თუმცა ისინი მაინც მრავლდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ ვირთაგვა წელიწადში ოთხ-ხუთჯერ ნაყოფიერდება, 5-დან 15-მდე ნაშიერს შობს და ეს ნაშიერები გამრავლებას სამი-ოთხი თვის ასაკიდან იწყებენ. ისინი ჭამენ ყველაფერს, რის დაღეჭვასაც კი ახერხებენ და გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით სერიოზულ ზიანს აყენებენ ადმიანებს, მათ გადააქვთ არაერთი ინფექცია.**

საგულისხმოა ისიც, რომ ვირთაგვებს ცდებისთვის შემთხვევით არ იყენებენ. მათი სხეულის მახასიათებლები ძალიან ჰგავს ადამიანისას და ამიტომაცაა, მაგალითად, სიმსივნის სამკურნალო პრეპარატებს, ძირითადად, ვირთხებზე რომ ცდიან. ვირთაგვები არაერთხელ გამხდარან სხვადასხვა სახელმწიფოს ხელში, როგორც ქიმიური ბრძოლის იარაღი. მომაკვდინებელი ვირუსით დაავადებულ ათასობით ვირთხას, ომიანობის დროს, მტრულად განწყობილი სახელმწიფოები ერთმანეთის ტერიტორიაზე უშვებდნენ და ეპიდემიას იწვევდნენ. იმასაც ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირმა ავღანეთის ომის დროს, არაერთი ათასი ვირთხა გამოიყენა ამ მიზნით და არაერთი ათასი ადამიანის სიცოცხლე სწორედ ვირთხების მიერ შეტანილმა ვირუსმა იმსხვერპლა. მარტივად გეტყვით – ყველა ვირთხა ცოფის მატარებელია და გარკვეული პრეპარატების ზემოქმედების შედეგად, ისინი იმდენად აგრესიულები ხდებიან, რომ ადამიანებს თავს ესხმიან. მხოლოდ კბენა კი არა, კბილით გაკაწვრაც კი საკმარისია, ადამიანი ცოფით რომ დაავადდეს.

თბილისის ერთი-ერთი კორპუსის მაცხოვრებლები მილიციის განყოფილებაში მივიდნენ, აქაოდა, ვირთხების შემოსევა გვაქვს, ისინი ყველგან არიან, სპეციალური სამსახური კი არაფერს აკეთებსო. სამართალდამცავებს გაეღიმათ, მოქალაქეებს ურჩიეს, ისედაც ბევრი საქმე გვაქვს და ამ პრეტენზიებით სანეპიდსადგურში (სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური) მიდითო. მალე, სამმართველოს თათბირზე ლამის ყველა განყოფილების ხელმძღვანელმა თქვა, რომ მათთან მოქალაქეები მიდიან და ვირთხების მომრავლებაზე ჩივიან. რაც მთავარია, მოსახლეობა ამტკიცებს, ისენი ჩვეულებრივი ვირთხები არ არიან, მოშავო ფერი დაჰკრავთ და ძალიან აგრესიულები არიან, ადამიანებზე იწევენო. თათბირზეც გაეღიმათ და სამმართველოს უფროსმა პირობა დადო, სანეპიდსადგურის ხელმძღვანელს დავურეკავ, პრობლემა მოაგვაროსო, თუმცა არ დაურეკავს, გადაავიწყდა, ან საჭიროდ არ ჩათვალა. განგაში კი მას შემდეგ ატყდა, რაც ვირთხამ 9 თვის ბავშვი საძინებელში დაკბინა და დედას რომ არ მიესწრო, ეგებ, შეეჭამა კიდეც. ამ ამბავს ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, სამართალდამცავები იძულებულები გახდნენ, სანეპიდსადგურის ხელმძღვანელი დაეპატიმრებინათ, მაგრამ მან ჟურნალები გადაშალა და დაადასტურა, რომ ყველა გამოძახებაზე ჰქონდა რეაგირება, ყველა გამოძახებაზე გაუშვა სპეციალური ჯგუფი, ყველგან ყველაფერი შეწამლა. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, მისი სიტყვები დადასტურდა – ჯგუფი მიდიოდა, იქაურობას სპეციალური ხსნარით ამუშავებდა, მაგრამ შედეგი ნული იყო. მეტიც, ვირთხები ამის შემდეგ უფრო აგრესიულები ხდებოდნენ.

„შეწამვლის პრინციპი ასეთია – სპეციალური სითხე ესხმება ყველგან, სარდაფებში, კიბის საფეხურებზე, მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ, სადაც ვირთხები გადადგილდებიან. ეს წამალი ფეხებზე ეკვრებათ და საკმარისია, შემდეგ რამე შეჭამონ თათების დახმარებით, რომ წამალი სიკვდილს იწვევს, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ კვდებიან ვირთხები. ეს ახალი წამალია, რუსეთიდან შემოვიტანეთ, მთელი რუსეთი ამას ხმარობს, მაგრამ ალბათ, ჩვენთან სხვანაირად მოქმედებს, უფრო მრავლდებიან, უფრო აგრესიულები ხდებიან. არ ვიცი, მართლა არაფერი მესმის“, – ამბობდა სანეპიდსადგურის შეფი.

გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლებელი იყო, რომელიმე ლაბორატორიიდან საცდელი ვირთხები გაიქცნენ და სწორედ მათ ჰქონდათ ეს აგრესიული პრეპარატი შეყვანილი. ამიტომ, შსს-ს თანამშრომლებმა უფროს კოლეგებში ანუ უშიშროების კომიტეტში ეს საკითხი ფრთხილად მოიძიეს და მოიკვლიეს. უშიშროების კომიტეტმა ხელები გაასავსავა, რა ლაბორატორიის ვირთხები, ჩვენ ასეთ ცდებს არ ვატარებთო ანუ ეს იყო პირდაპირი უარი და თან მინიშნება, რომ ლაბორატორიის ცხოველებზე კითხვები აღარ დასმულიყო, თუმცა რატომ გახდნენ აგრესიული ვირთხები, ყველას ძალიან აინტერესებდა. ქართულმა მხარემ რუსეთში მოთხოვნაც კი გაგზავნა და იქაური ამბები მოიკითხა. პასუხმა ყველა დააინტერესა. როგორც გაირკვა, წამალი, რომლითაც ქართველები ვირთხებს ებრძოდნენ, რუსეთში ხმარებიდან ორი წლის წინ ამოიღეს და ამოიღეს იმ მიზეზით, რომ მისი მოხმარების შემდეგ... ვირთხები აგრესიულები გახდნენ. ახლა ის იყო გასარკვევი, ვინ და რატომ ჩამოიტანა უკვე აკრძალული პრეპარატი საქართველოში და ზოგადად, სად იყო მარაგი თავად რუსეთში, რადგან რუსული მხარე ირწმუნებოდა, აღნიშნული წამალი მთლიანად გავანადგურეთ, მისი შეძენა წარმოუდგენელია, მით უმეტეს, დიდი რაოდენობითო. ამ დროს კი, თბილისის სანეპიდსადგურის საწყობში, რამდენიმე ტონა სითხე დაფასოებული ელაგა. რა თქმა უნდა, ისევ სანეპიდსადგურის ხელმძღვანელს მიადგნენ.

„მომარაგებას რუსეთიდან ვიღებ და იქ ჩემი საწყობის გამგე დადის. ერთხელაც კი არ ვარ წასული, არ ვიცი, სად რა იყიდება ან იშოვება. ამიტომ, მუდმივად ის დადის და პასუხიც მას უნდა მოთხოვოთ. მე ვიყენებ იმ წამალს, რომელიც მას ჩამოაქვს და რაც მთავარია, მას მოაქვს დოკუმენტი, რომ ეს წამალი მოსკოვის შესაბამისი საწყობიდან გაიცა. არ მგონია, აქ რამე კრიმინალი იყოს, ჩემი საწყობის გამგემ თუ იმაიმუნა, საბჭოთა კავშირის დედაქალაქშიც მექრთამეები ხომ არ სხედან?“ – განაცხადა სანეპიდსადგურის დირექტორმა და სავარაუდოდ, მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ყველაზე დიდი მექრთამეები, სწორედ მოსკოვში ისხდნენ და ყველაზე დიდი ფულიც, სწორედ საბჭოეთის დედაქალაქში „იჭრებოდა“.

საწყობის გამგის დაკავებას ძალოვნები არ ჩქარობდნენ და მას თვალთვალი დაუწყეს. ფუფუნება, რომელშიც ის ცხოვრობდა, ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ბინა, აგარაკი, ავტომობილი, კარგად ჩაცმულ-დახურული ცოლ-შვილი, სავარაუდოდ, სწორედ რუსეთში ნაყიდი ტანისამოსი და... მეზობლებმა თქვეს, სახლი ჩეხური ბროლითა და იუგოსლავიური ავეჯით აქვს გამოტენილიო, რაც მაშინ უდიდეს ფუფუნებად ითვლებოდა, თუმცა დროც არ ითმენდა, დედაქალაქის რამდენიმე უბანს ვირთხები კი არ მოედნენ, არამედ, „შტურმით აიღეს“ და ხალხს სადარბაზოში გასვლის ეშინოდა. მეტიც, ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებელმა გადაწყვიტა, რომ ამ პრობლემისთვის საკუთარი კატის საშუალებით მოევლო, რომელიც ვირთხებსაც გადასარევად იჭერდა და კატა ღამით გარეთ დატოვა. მეორე დილით, სარდაფის ჩასასვლელში, კატის დაგლეჯილი, უსულო სხეული იპოვეს. საწყობის გამგე დააკავეს და საქმე იმდენად რეზონანსული იყო, რომ ის დასაკითხად უშიშროების კომიტეტში წაიყვანეს. აგრესიულმა ვირთხებმა, მოსკოვშიც და თბილისშიც, „კა-გე-ბე“-ს მაღალჩინოსნები ძალიან დაინტერესა.

„წლებია, მოსკოვიდან შხამ-ქიმიკატები ჩამომაქვს. სამი დირექტორი გამოვიცვალე, მე კი საწყობის გამგედ დავრჩი. შესაბამისად, რუსეთში ყველას ვიცნობ. ბოლოს როცა ჩავედი, თან 60 ათასი მანეთი მქონდა. ერთ-ერთმა იქაურმა მეგობარმა მითხრა, ჩამოწერილი წამალი გვაქვს, ვირთხებს ეგეც კლავს, საწყობში ადგილს იკავებს და მაგას გაგატანთ, საბუთსაც დაგიწერთ და ყველაფერი ეს, თავის ქრთამიანად, 25 ათასი მანეთი დაგიჯდებაო. დავთანხმდი, ვენდე, ან რატომ არ უნდა დავთანხმებულიყავი, არასოდეს მოვუტყუებივარ. ჩამოვიტანე წამალი და დაიწყო ის, რაც დაიწყო. მაინც მგონია, რომ შესაძლოა, მიზეზი სხვა იყოს, თორემ ასე გააგრესიულება როგორ შეიძლება?“ – ლუღლუღებდა დაკითხვაზე დაკავებული.

საწყობიდან შხამ-ქიმიკატები სასწრაფო წესით ამოიღეს, ნაწილი საქართველოში დატოვეს კვლევებისთვის, ნაწილი მოსკოვში გაგზავნეს. ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს სწორედ ის პრეპარატი იყო, რომელიც ვირთხის ტვინზე ზემოქმედებდა და ყველაფერი, რაც მოძრაობდა, მას საფრთხედ მიაჩნდა. ამიტომ, ვირთხები ინსტიქტურად, თავდასხმაზე გადადიოდნენ და არავის ინდობდნენ. რაღა თქმა უნდა, დააკავეს მოსკოველი მექრთამეები, თბილისშიც საწყობის გამგეს 7 წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა, სანეპიდსადგურის დირექტორი, გულგრილობის ბრალდებით, სამსახურიდან დაითხოვეს და სასწრაფო წესით რუსეთიდან ახალი საწამლავი შემოიტანეს, თუმცა საწამლავის დაყრის პარალელურად, შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც აგრესიულ ვირთხებს ხოცავდნენ. მათ ამისთვის სპეციალური წამახვილებული პლასტმასის ჯოხები ჰქონდათ, რომლის წვერის ბოლოც ბასრი რკინით იყო დაბოლოვებული, რკინაზე კი დენი გახლდათ შეერთებული. სამუშაოები სამ თვეზე მეტხანს გაგრძელდა, სანამ აგრესიული ვირთხები სრულად არ ამოჟლიტეს. არსებობს არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი, რომ აღნიშნული პრეპარატის დამზადება-გამოყენება უშიშროების კომიტეტმა რუსეთში კიდევ დიდხანს გააგრძელა.

ბათო ჯაფარიძე

**სავარაუდოდ, ძალიან, ძალიან ბევრ ადამიანს უფიქრია იმაზე, რას გააკეთებდა, თუ ეცოდინებოდა, რომ კონკრეტული დღე მის სიცოცხლეში უკანასკნელი იქნებოდა. მიდგომა ინდივიდუალურია, ზოგს ახლობლების გარემოცვაში ყოფნა სურს, ზოგს პირიქით, უცხო ადამიანებთან ყოფნა ურჩევნია, ზოგს – ქეიფი, გათრობა, დროსტარება... თუმცა, რეალურად, შეუძლებელია ვინმემ იცოდეს, როდის დგება მისი უკანასკნელი დღე... ალბათ, ცხოვრებიც ხიბლიც ამაშია.**

# „მეზიზღებით, რადგან თქვენ იცოცხლებთ, მე კი მატლები შემჭამენ“

## მაღაზიების სერიული ქურდობა თბილისში და დამნაშავის აღსარება

„თუ იცით, რა ხდებოდა 1981 წლის შემოდგომაზე? საქართველო ისევ თასების მფლობელთა თასის მოგებას ზეიმობდა, ხალხი ბედნიერი იყო, სამსახურის პრობლემა არავის აწუხებდა, ვიღაც „ბარხატნი სეზონზე“ აფხაზეთში ისვენებდა, ვიღაც რთველისთვის ემზადებოდა. არა მარტო დედაქალაქში, არამედ, მთელ ქვეყანაში სანიმუშო წესრიგი იყო და ქვეყნის მასშტაბით, მძიმე დანაშაული, შესაძლოა, კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ მომხდარიყო. შემიძლია თამამად ვთქვა, ეს იყო იდეალური პერიოდი კრიმინალის თვალსაზრისით, არავინ ბედავდა მკვლელობას, ყაჩაღობას, გაუპატიურებას, ადამიანის გატაცებას. ქურდობა და ხულიგნობა, ჩხუბი და ყოფით ნიადაგზე დაწყებული დავები – აი, საქმეები, რომლებსაც სასამართლო იხილავდა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სწორედ ამ პერიოდში, მეხის გავარდნას ჰგავდა ის, რაც დედაქალაქში მოხდა. ნიღბიანი პირი მაღაზიაში შეიჭრა, 300 მანეთამდე გაიტაცა და წასვლისას გაისროლა კიდეც, რის შედეგადაც მოლარე დაიჭრა. თვითმხილველები ამბობდნენ, სროლის აუცილებლობა არ იყო, რადგან მოლარემ სალარო გახსნა და ფული მაშინვე მისცაო. ჰოდა, მაშინ, როცა ძალოვნები ადგილზე იყვნენ, შეტყობინება მეორე მაღაზიიდან მოვიდა – იქაც ზუსტად იგივე მოხდა, თუმცა გასვლისას, თავდამსხმელის გასროლას მომხმარებლის დაჭრა მოჰყვა. საინტერესო იყო, რომ ორივე შემთხვევაში, თავდამსხმელმა ფეხში ესროლა მოქალაქეებს. მოგვიანებით, მოწმეების დაკითხვის შედეგად, მამაკაცის აღწერილობა და ჩაცმულობა ერთი-ერთში დაემთხვა ანუ ძალოვნებს საქმე ერთსა და იმავე პიროვნებასთან ჰქონდათ. მეორე დღეს, ლამის მთელი უწყება ფეხზე დადგა – ისევ თავდასხმა, ისევ იგივე მამაკაცი, ისევ დაჭრილი რიგითი ადამიანები და ისევ წაღებული უმნიშვნელო თანხა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თავდამსხმელს თითქოს გეგმა ჰქონდა შესასრულებელი და დღეში რამდენიმე საქმეზე მიდიოდა.

„ეს ნამდვილი შოკი იყო. არავინ ელოდა ასეთ რამეს, აგენტურული ქსელიც ვერაფერს ამბობდა. ქალაქში გამოჩნდა დამნაშავე, რომელიც თავზეხელაღებული იყო, მარტო მიდიოდა საქმეზე და გაფრთხილების, საჭიროების გარეშე იბრძოდა. სად უნდა გვეძებნა და ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დამნაშავე, წარმოდგენა არ გვქონდა. რაც მთავარია, საქმეს სამინისტრო კურირებდა და თბილისის ყველა განყოფილებაში იცოდნენ, რომ ეს არ იყო კონკრეტულად ერთი რაიონის პრობლემა, დამნაშავეზე უნდა ემუშავა და ენადირა ყველას“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

განსაკუთრებული დატვირთვა უბნის რწმუნებულებზე მოდიოდა. იქ, სადაც დანაშაული მოხდა, უბნის რწმუნებულებმა, პრაქტიკულად, ყველა აგენტი შეაწუხეს, დააშინეს, აამუშავეს, თუმცა უშედეგოდ. ყველაფერი ეს ჯერ კარგად გააზრებულიც კი არ ჰქონდათ სამართალდამცავებს, როცა მორიგი დანაშაული მოხდა. ხელწერა იგივე იყო, მაგრამ ამჯერად, სროლას მოქალაქის მძიმედ დაშავება მოჰყვა – ტყვია მას ყელში მოხვდა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, თავდამსხმელმა შეგნებულად დაუმიზნა სწორედ ყელის არეში და არა – ფეხში, როგორც ეს წინა შემთხვევებში იყო. გამოდიოდა, რომ დამნაშავე დღითი-დღე დაუნდობელი ხდებოდა და მალე ხალხის სასიკვდილოდ დახვრეტას დაიწყებდა. სამინისტროს მაღალჩინოსნები ყოველდღიურად თათბირს ატარებდნენ და კატეგორიულად ითხოვედნენ დამნაშავის დაკავებას, მაგრამ მილიცია უძლური იყო. ასე განსაჯეთ, ე.წ. კანონიერ ქურდებსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც თავზე ხელი ჰქონდა აღებული და ზუსტად იცოდა, რომ თავდასხმების გაგრძელებისა და ადამიანების დახოცვის შემთხვევაში, მას სასიკვდილო განაჩენი ელოდა. იმის გამო, რომ მამაკაცს ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული, მისი სახის აღწერას ვერავინ ახერხებდა. ათეულობით მოწმე მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა – „თავდამსხმელი მოულოდნელად შემოვარდა, სალაროსთან მივიდა, ფული აიღო, გასვლისას გაისროლა, თან ყვიროდა, არავინ გაინძრეს, თორემ მოვკლავო“. ნიღბად ყოველთვის ქალის კაპრონის თხელ, შავ წინდას იყენებდა. გამოძიებას ისე გაუჭირდა, რომ მაღაზიებში მოკითხვაც დაიწყეს, ვინმე მამაკაცი მუდმივად ხომ არ ყიდულობს ქალის შავ, თხელ წინდებსო, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო.

„ყველა მიმართულებით ჩიხში შევედით. თათბირზე ისიც კი ითქვა, დედაქალაქში არსებულ მაღაზიებში, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ერთი თანამშრომელი დავაყენოთ, შეიარაღებული, რომელიც ცეცხლს მას შემდეგ გახსნის, რაც თავდამსხმელი შენობიდან გავაო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თავდამსხმელისთვის სულ ერთი იყო, სასურსათო მაღაზიაში შევიდოდა, რკინეულობაში თუ ტანსაცმელის სექციაში, ეს აზრი არ მოიწონეს. ახლა, ერთადერთი, რისი იმედიც გვქონდა, შეცდომა იყო. შეცდომა, რომელსაც თავდამსხმელი აუცილებლად დაუშვებდა და რამე სამხილს დატოვებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მორიგი თავდასხმის შემდეგ, ერთ-ერთმა თვითმხილველმა დაბეჯითებით თქვა, დამყაჩაღებელი სროლას აპირებდა, მაგრამ ტყვია არ ჰქონდა და ამიტომ, უკანმოუხედავად გაიქცაო. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა შემთხვევაში, თავდამსხმელი ნაგანს იყენებდა, გამოდიოდა, რომ „ასეჩკა“ არ მოხდა, უბრალოდ, მას ტყვიები მართლაც გაუთავდა. ეს ძალიან კარგი ამბავი იყო, რადგან ის აუცილებლად დაიწყებდა ტყვიების შეძენაზე ფიქრს და შავ ბაზარზე მოძიებას. სწორედ იქ უნდა ჩაევლოთ ძალოვნებს, ამიტომ ყველა გააფრთხილეს, ინფორმაცია მიეწოდებინათ ნებისმიერზე, ვინც ნაგანის ტყვიების ყიდვას დააპირებდა. სამ დღეში, სამართალდამცავებმა ორი პიროვნება დააკავეს, რომლებმაც ნაგანის ტყვიები დაძებნეს, თუმცა აღწერილობით თავდამსხმელს არცერთი არ ჰგავდა. ამასთან ერთად, გამოძიება მალე მიხვდა, რომ დაკავებულებს ყაჩაღობასთან კავშირი არ ჰქონდათ – თავდამსხმელი მორიგ მაღაზიაში შევარდა და ფულის წაღების შემდეგ... გაისროლა. როგორც ჩანს, მას ტყვიების მარაგი ჰქონდა და შესაბამისად, არალეგალურად ყიდვასაც არ შეეცდებოდა. ის იყო, შსს-ს დახმარება თავდაცვის ძალებისთვის უნდა ეთხოვა, აქაოდა, გამოცდილი ხალხი მაღაზიებში განვათავსოთო, რომ განყოფილებაში ასაკში შესული ქალი მივიდა და მშვიდად თქვა – „მე ვიცი, ვინ არის თავდამსხმელი. მაღაზიაში, რომელიც მან ბოლოს დააყაჩაღა, მეც ვიყავი და ჩემი მეზობელი ამოვიცანი. უწყინარი ბიჭია, არ ვიცი, რამ გადარია, მაგრამ ზუსტად ის იყო“. სამართალდამცავებმა მითითებულ პიროვნებაზე თვალთვალი დააწესეს და არც შემცდარან – ორ დღეში, ის მაშინ დააკავეს, როცა მორიგი მაღაზიიდან გამოვიდა და მიმალვა სცადა. ძალოვანმა უწყებამ კი ამოისუნთქა, მაგრამ ახლა იმის გარკვევა იყო საინტერესო, რამ აიძულა ახალგაზრდა კაცი, რომელიც მანამდე დანაშაულში არ ყოფილა შემჩნეული, ასეთი თავზეხელაღებული მძარცველი გამხდარიყო და რიგითი ადამიანების მისამართით, საჭიროების გარეშე ესროლა.

„ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენს მომცემთ, დამხვრეტთ, გამაციმბირებთ, თუ ჩამომახრჩობთ. ისედაც დათვლილია ჩემი დღეები, თავში სიმსივნე მაქვს და საუკეთესო შემთხვევაში, ორი თვე ვიცოცხლებ. ორი თვის განმავლობაში რომ არ დაგეჭირეთ, ჩემით მოვკვდებოდი და გავქრებოდი. სიკვდილის წინ, ალბათ, ვიტყოდი, ვინც ვიყავი. მეზიზღებით, ყველა მეზიზღებით, რადგან თქვენ იცოცხლებთ, მე კი მატლები შემჭამენ“, – პირველივე დაკითხვაზე აყვირდა დაკავებული. გამომძიებლებმა დაკითხვა შეწყვიტეს და იმ კლინიკაში წავიდნენ, სადაც ბრალდებული აღრიცხვაზე იყო.

„იცით, მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ გაუგებრობა მოხდა. პაციენტების სურათები აგვერია და ამიტომ, მას, ვინც სრულიად ჯანმრთელია, ვუთხარით, რომ უკურნებელი სენი სჭირდა და ყველაზე დიდი, ორი თვე იცოცხლებდა. კი გვინდოდა, შემდეგ გვეთქვა, რომ მას არაფერი სჭირს და სრულიად ჯაანმრთელია, მაგრამ პროცედურებზე არ მოვიდა, მერე და მერე კი მიგვავიწყდა ეს ამბავი. ძალიან ბევრი საქმეა ჩვენს კლინიკაში, თავადაც ხედავთ, რა რეჟიმში ვმუშობთ და ამიტომ, ჯანმრთელი ადამიანებისთვის დრო ნაკლებად გვრჩება“, – უხერხულად გაიღიმა ექიმმა და როცა გამომძიებლის ჯერ გაოცებულ, შემდეგ კი გაოფებულ სახეს შეხედა, მიხვდა, რაღაც ისეთი მოხდა, რაშიც დიდწილად ბრალი, სწორედ მას, ექიმს მიუძღვოდა.

მორიგ დაკითხვაზე დაკავებულს მისი ავადმყოფობის ისტორია წინ დაუდეს და უთხრეს, რომ სრულიად ჯანმრთელი იყო, რომ ექიმს რაღაც აერია და რომ ყველა ეს დანაშაული სულ ტყუილად ჩაიდინა. დაკავებულმა ჯერ არ დაიჯერა, შემდეგ ხარბად დაიწყო თავისი სამედიცინო ისტორიისა და დიაგნოზის კითხვა, ბოლოს კი თავში ხელები წაიშინა და რომ არა დამამშვიდებელი ნემსი, ყველაფერს დალეწავდა. მეორე დღეს, დაკითხვაზე სულ სხვა პიროვნება იჯდა – დაბეჩავებული, დაბერებული, ნატანჯი. მან ზუსტად იცოდა, რომ დანაშაულს, რომელიც უკურნებელი სენის სახელით ჩაიდინა, არავინ აპატიებდა. ასეც მოხდა, სასამართლომ 14 წლით გაისტუმრა გისოსებს მიღმა (სხვათა შორის, სასჯელი სრულად მოიხადა), ხოლო ექიმს, რომელსაც დიაგნოზი აერია... უბრალოდ, ლიცენზია ჩამოართვეს.

## ვახტანგ გომელაურმა „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი – 2023“-ის მონაწილეებს სიტყვით მიმართა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ვახტანგ გომელაური, „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი – 2023“-ში მონაწილეობდა და ფორუმის დამსწრეებს სიტყვით მიმართა. ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მისასალმებელი სიტყვით გახსნა.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის წევრებმა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა, დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ასევე დაესწრო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურმა მდივანმა სეიფულა ჰაჯიმუფთუოღლუმ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა ვახტანგ გომელაურმა სიტყვით გამოსვლისას, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მხარდაჭერისთვის, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, ასევე საერთაშორისო პარტნიორებს მადლობა გადაუხადა.

ვახტანგ გომელაურმა ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„ჩვენი მიზანია, ფორუმის საშუალებით, კიდევ უფრო გავაღრმაოთ თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან და ხელი შევუწყოთ ამ სფეროში კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხებზე დიალოგს.**

**საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სფეროში კიბერუსაფრთხოებას, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიური სამყაროს განუყოფელ ნაწილს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია.**

**ჩვენ გვყავს უწყებები, რომლებსაც მანდატით აქვთ განსაზღვრული სახელმწიფო რესურსების, თუ ეკონომიკის სექტორების კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა. თითოეული უწყება სწორედ ამ უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად მუშაობს კიბერუსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ.**

**2021 წელს დამტკიცდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და აქტიურად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი, რაშიც ქართულ მხარესთან ერთად ინტენსიურად არიან ჩართულები ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები.**

**ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს შესაბამისი პროგრამების ფარგლებში, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს სტრატეგიულ პარტნიორებთან.**

**გამორჩეულია გაერთიანებული სამეფო-საქართველოს კიბერთანამშრომლობის პროგრამა, რომელიც აქტიურად ეხმარება საქართველოს სხვადასხვა უწყებებს შესაძლებლობების განვითარებაში.**

**ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ამერიკულ მხარესთან და ვიღებთ, როგორც ტექნიკურ, ისე ტექნოლოგიურ მხარდაჭერას. ასევე, ხაზგასასმელია ევროკავშირთან თანამშრომლობა სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, რომლითაც ძლიერდება საქართველოს უწყებების შესაძლებლობები“,** – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ორდღიანი ღონისძიება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ორგანიზებით იმართება.

ფორუმის მიზანია, კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევებისა და თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და საერთაშორისო დონეზე, კიბერკომპონენტის საშუალებით, საქართველოს პოზიციონირების გაძლიერება.

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანს, გუბერნატორს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა შეხვედრა გამართა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანთან, გუბერნატორ სეიფულლა ჰაჯიმუფთუოღლუსთან.

შეხვედრაზე მხარეებმა ორ სახელმწიფოს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ მჭიდრო და ინტენსიურ თანამშრომლობაზე, ასევე ხაზი გაუსვა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან როლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში.

შეხვედრის ფარგლებში, საუბარი ასევე შეეხო ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის დაცვის სფეროში არსებულ თანამშრომლობას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებსა და ამ მიმართულებით თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოში ვიზიტისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მხარეთა შორის თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

## პოლიციამ ღამის კლუბში ტურისტებისგან დიდი ოდენობით თანხის დაუფლების თაღლითური სქემა გახსნა – დაკავებულია რვა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რვა პირი დააკავეს.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით დაკავებული არიან: წარსულში ნასამართლევები, 1968 წელს დაბადებული რ.მ., 1998 წელს დაბადებული ა.დ., 1982 წელს დაბადებული გ.ც., 1999 წელს დაბადებული დ.ბ., 1989 წელს დაბადებული დ.ა., 1992 წელს დაბადებული გ.კ., 1981 წელს დაბადებული ზ.დ. და 1970 წელს დაბადებული მ.დ.

დანაშაული 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ღამის კლუბის მფლობელებს – რ.მ.-სა და გ.ც.-ს, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ტაქსის მძღოლებთან – ზ.დ., ა.დ. და მ.დ.-სთან შეთანხმებით, კონკრეტულ ბარში მიჰყავდათ ტურისტები, რომლებსაც აღნიშნულ ბარში დასაქმებული პერსონალის: დ.ბ.-ს., დ.ა.-ს და გ.კ-ს დახმარებით, თაღლითური გზით, მომსახურებასთან და შეკვეთილ პროდუქციასთან შეუსაბამო თანხას ახდევინებდნენ. ასევე, დაზარალებულებზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და მუქარას.

პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირები, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბირთვული ექსპერტიზის საერთაშორისო ტექნიკური სამუშაო ჯგუფის 26-ე ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბირთვული ექსპერტიზის საერთაშორისო ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (ITWG) 26-ე ყოველწლიურ შეხვედრას უმასპინძლა.

კონფერენციაში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს. შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიმართეს ბირთვული ექსპერტიზის საერთაშორისო ტექნიკური სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა – მაიკლ ქერიმ და მარია ვალენიუსმა.

შეხვედრის მიმდინარეობისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) მიმართულებით სამინისტროს შესაძლებლობები და რეაგირების მექანიზმები, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა მიმოიხილა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია.

კონფერენციის დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ბირთვული ექსპერტიზის საერთაშორისო ტექნიკურ სამუშაო ჯგუფს, სიმპოზიუმის საქართველოში ჩატარებისა და ბირთვული ექსპერტიზის მიმართულებით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისთვის.

სიმპოზიუმში სხვადასხვა ქვეყნის 80-მდე ექსპერტი და მეცნიერი მონაწილეობდა, რომლებმაც ბირთვული ექსპერტიზის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხები მიმოიხილეს, მათ შორის, ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალის კვლევის თანამედროვე მეთოდები და მიდგომები.

სიმპოზიუმი აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტისა (DOE) და ევროკომისიის კვლევითი ცენტრის (JRC) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

# საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ისტორიას წერს

საქართველოს 21-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველად თამაშობს. ვაღიაროთ, კონტინენტის მთავარ ფორუმზე ჩვენი გუნდი იმიტომ მოხვდა, რომ ტურნირის ერთ-ერთი მასპინძლები ვართ. მას შემდეგ, რაც ჩვენი ჯგუფის შემადგენლობა გაირკვა, ყველამ აღიარა, რომ ეს სიკვდილის ჯგუფი იყო, მაგრამ არა ჩვენთვის. ჩვენთვის არა იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებზე სერიოზულად არავინ ფიქრობდა, რამეთუ ჯგუფში ტურნირის ორი ფავორიტი – პორტუგალია და ნიდერლანდები გვყავდა, ბელგიას კი არა მარტო ამ ასაკში, ყოველთვის ძლიერი გუნდი ჰყავს.

საწყისი ორი ტურის შემდეგ, საქართველოს ნაკრები 4 ქულით პირველ ადგილზეა, მეორე-მესამე ადგილებს ბელგია და ნიდერლანდები – 2-2 ქულით ინაწილებენ, მეოთხე ადგილზე კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი პორტუგალიაა. ბოლო ტურში საქართველო ნიდერლანდებს ხვდება, ბელგია – პორტუგალიას და მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც გვყოფნის. თუმცა, არსებობს ვარიანტი, რომ ჯგუფიდან იმ შემთხვევაშიც გავიდეთ, თუ ბელგია ვერ მოიგებს, რისი ალბათობაც ძალიან დიდია.

მანამდე კი ბელგიასთან შეხვედრაზე ვთქვათ და აღვნიშნოთ, რომ პირველი მატჩის გმირის, ორი საგოლე გადაცემის ავტორის, გიორგი წიტაიშვილის სასტარტო შემადგენლობაში არდაყენებამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა და სამართლიანადაც. პირველი ნახევარი არათუ პირწმინდად წავაგეთ, არამედ, იმდენად უიმედოდ, რომ არავის ეგონა, მეორე ნახევარში რამეს თუ მოვახერხებდით, მაგრამ... სწორედ მეორე ტაიმში გამოჩნდა წიტაიშვილი და გუნდი აიყოლია. შემოსვლიდან 7 წუთში, მან შორეული დარტყმით გახსნა ანგარიში და ეს იყო გარდამტეხი მომენტი – გუნდმა საკუთარი ძალების ირწმუნა და მიზანმიმართულად მიდიოდა მეორე გოლისკენ, რომელიც მატჩის მიწურულს შევაგდეთ. შეხვედრა, რომელმაც დაწყებამდე რეკორდი მოხსნა, ფრედ დასრულდა. რაც შეეხება რეკორდს – ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ყველაზე მეტი მაყურებელი 1996 წელს, ესპანეთი-იტალიის მატჩზე, ბარსელონაში მივიდა. „დინამო არენაზე“ კი ყველა, 54 ათასივე ბილეთი გაიყიდა, ამ მხრივ, ბებერ კონტინენტზე ბადალი არ გვყავს და ეჭვი გვაქვს, კარგა ხანს, არც გვეყოლება.

ახლა ძნელია იმის თქმა, რა შედეგით დაასრულებს კონტინენტის პირველობაზე გამოსვლას ჩვენი გუნდი, მაგრამ ხმამაღლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეროვნულ ნაკრებში ძალიან კარგი ცვლა მოდის.

# უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ მარცხით დაიწყეს

20-წლამდელ მორაგბეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები ურთულეს ჯგუფში მოხვდა და მეტოქეებად ტურნირის მთავარი ფავორიტი – სამხრეთ აფრიკა, კიდევ ერთი ფავორიტი – არგენტინა და ექვსი ერის წევრი, იტალია გვყავს.

პირველ შეხვედრაში, ჩვენი გუნდი სწორედ სამხრეთ აფრიკელებს შეხვდა და პირველი ტაიმი პირწმინდად – 20:7 წააგო. მეორე ნახევარში, ჩვენმა გუნდმა გამართული რაგბი აჩვენა და ჯერ ჯარიმა გავიტანეთ, მერე ლელო, რასაც გარდასახვა მივაყოლეთ და მეტოქეს სამ ქულამდე მივუახლოვდით. სწორედ ამ დროს, მეტოქეს მოთამაშე გაუყვითლეს და მოედნიდან 10 წუთით გააძევეს, რაც წესით, ჩვენს უპირატესობაში უნდა გადაზრდილიყო, თუმცა...

ვერ გეტყვით, მეტოქის კაცნაკლულად დარჩენამ დაამშვიდა ჩვენები, თუ პირიქით, მეტოქე გაახელა, ექვს წუთში, ორი ჯარიმა, ლელო და გარდასახვა მივიღეთ. მატჩის ბედიც, სწორედ ამ 6 წუთში გადაწყდა და საბოლოო ჯამში, 33:23 დავმარცხდით.

# კიდევ ერთი ქართველი სერია A-ში

იტალური მედიის მტკიცებით, მომავალი სეზონიდან, სერია A-ში კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს. „ფროზინონემ“ ბათუმის „დიმანოსთან“ მოლაპარაკება დაასრულა და გიორგი კვერნაძე გადაიბირა. კვერნაძე 20 წლის ფორვარდია, ტანმაღალი (190 სმ) და როგორც მარცხენა გარემარბად, ისე გამოკვეთილ ფორვარდად თამაში შეუძლია.

„ფროზინონემ“ სერია A-ს საგზური წელს მოიპოვა, სერია B დამაჯერებლად მოიგო და... ყველასთვის მოულოდნელად, მთავარი მწვრთნელი, ფაბიო გროსო გაათავისუფლა. ვერ გეტყვით, რას ერჩოდნენ სპეციალისტს, რომელმაც გუნდს საოცარი სეზონი ჩაატარებინა, მაგრამ ფაქტია, რომ მის ნაცვლად, ეუსებიო დი ფრანჩესკო დანიშნეს.

# „ტოტენჰემის“ მთავარი სამიზნე მამარდაშვილია

მართალია, გიორგი მამარდაშვილი თბილისშია და 21-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ეხმარება, თუმცა მისი აგენტები ესპანეთში იმყოფებიან და ტრანსფერზე აქტიურად მუშაობენ. არც ესპანური მედია და არც „ვალენსია“ არ მალავს, რომ კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემა აქვს და მისი მოგვარების ერთ-ერთ (თუ ერთადერთი არა) გზად, გიორგი მამარდაშვილისა და კიდევ ორი ლიდერის გაყიდვაა.

„ვალენსიას“ რიგითი გულშემატკივრებიც კი ხვდებიან, რომ მამარდაშვილის შენარჩუნება გუნდს არათუ გაუჭირდება, არამედ, ეს წარმოუდგენელიც კი არის. მომავალი სეზონისთვის, „ღამურები“ ისევ გადარჩენისთვის იბრძოლებენ, რამდენად გამოუვათ, ძნელი სათქმელია. წელს ისინი უძლიერესთა შორის, სწორედ მამარდაშვილის ხარჯზე დარჩნენ, რადგან ახალგაზრდა კიპერმა რამდენიმე გამარჯვება გუნდს პირადად მოუტანა. განსაკუთრებით კი, მადრიდის „რეალთან“ შეხვედრაში, სადაც საუკეთესოდ დაასახელეს და „სამეფო გუნდის“ ფეხბურთელების შეტევებს, პრაქტიკულად, მარტო იგერიებდა“, – წერს ესპანური მედია.

მათივე ცნობით, გიორგის ყველაზე რეალური მყიდველი „ტოტენჰემის“ სახით ჰყავს. ლონდონურ კლუბს „ბრენტფორთიდან“ დავიდ რაიას შეძენა სურდა, მაგრამ ის 40 მილიონი გირვანქა დააფასეს, რაც „მამლებს“ ეძვირათ და ახლა მთლიანად მამარდაშვილის ტრანსფერზე გადაერთვნენ. ქართველი მეკარის გადაბირება კიდევ ერთ ლონდონურ გუნდს, „ჩელსის“ სურს, მაგრამ მეორე მეკარედ მოიზარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად მამარდაშვილი „ტოტენჰემში“ წასვლას არჩევს, რამეთუ „მამლებში“ მას ვეტერანი უგო ლორისის შემცვლელად და შესაბამისად, პირველ ნომრად მოიაზრებენ.

ცნობისათვის, მილანის „ინტერმა“ ანდრე ონანას გაყიდვა გადაწყვიტა და მეკარის აგენტი ინგლისში იმყოფება, სადაც მოლაპარაკებას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ აწარმოებს. როგორც იტალიური მედია ამტკიცებს, ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა ძალიან დიდია და მანჩესტერელები მზად არიან, მის სანაცვლოდ 50 მილიონი ფუნტი გადაიხადონ. ჰოდა, იტალიაში არ მალავენ, რომ ონანას წასვლის შემთხვევაში, „ინტერი“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „ვალენსიასგან“ მამარდაშვილი იყიდოს.

# შენგელიამ იტალიის ჩემპიონატის ფინალური სერია წააგო

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძოდა. ფინალურ სერიაში, მისი „ვირტუს ბოლონია“, ოლიმპია მილანოს“ დაუპირისპირდა. პლეი-ოფის სერია 4 მოგებამდე გრძელდება და როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი, მეშვიდე შეხვედრის ჩანიშვნა გახდა საჭირო, რადგან საწყის ექვს მატჩში, გუნდებმა 3-3 მოიგეს. ბოლო შეხვედრაში კი...

ნამდვილად არავინ ელოდებოდა, რომ „ბოლონია“ ასე საშინლად ითამაშებდა. თავად განსაჯეთ, პირველ მეოთხედში, გუნდმა 9 ქულა ჩააგდო, მესამე მეოთხედში – მხოლოდ 5 ქულა და საობლოო ჯამში, დამარცხდა. ერთადერთი, თავს იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ არც ვერცხლის მედალია ცუდი და მეორეც, „ბოლონიას“ რიგებში საუკეთესო ქართველი კალათბურთელი იყო. თანაგუნდელებიდან თორნიკემ ყველაზე მეტი, 13 ქულა ჩააგდო, თუმცა ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შენგელია მალე საქართველოში დაბრუნდება და ეროვნულ გუნდთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დაიწყებს მზადებას.

# კვარაცხელია კიდევ ერთხელ აღიარეს




საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ ვარსკვლავი, ხვიჩა კვარაცხელია კიდევ ერთხელ აღიარეს. 11 მარტს, მის მიერ, „ატალანტას“ კარში გატანილი ბურთი სერია A-ს სეზონის საუკეთესო გოლად დასახელდა. შეგახსენებთ, რომ ხვიჩამ მეტოქის რვა ფეხბურთელის გარემოცვაში მოახერხა ბურთის შენარჩუნება, ფინტების გაკეთება და კარში ზუსტად დარტყმა. ამ აღიარებამდე, კვარაცხელია იტალიის ჩემპიონატის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. ამასთან ერთად, პრაქტიკულად, ყველა ევროპულმა გამოცემამ ქართველი შემტევი სეზონის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. რაც შეეხება კვარას მომავალს. როგორც იტალიური მედია წერს, მისი ჯამაგირი 3 მილიონი ევრო (ბონუსების ჩათვლით) იქნება, რაც გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით და აურელიო დე ლაურენტისის სიძუნწეზე მიანიშნებენ. ყველა აღარებს, რომ ხვიჩა ბევრად მეტს იმსახურებს და ამ ხელფასზე „ნაპოლიში“ ერთ სეზონზე მეტს აღარ გაატარებს. ვინ იცის, ეგებ, ლაურენტისს არც სურს, კვარა ერთ წელზე მეტხანს გააჩეროს და მის სარფიანად გაყიდვას მომავალი სეზონის ბოლოსვე შეეცადოს.

# უცნაური კაცი – ვალტერი

თაკო ჩარკვიანი

უცნაური კაცია ეს ვალტერი, მაღალი, მოწესრიგებული, სულ გაწკიპინებული, სუფთა თეთრი პერანგით და თეთრი თმით, ცოტა ვარდისფერი მომღიმარი სახით, „კეთილი ლოყებით“ და ჭკვიანი შუბლით. პირველად რომ გავიცანი, ერთი შეხედვით, ეს გავიფიქრე, ალბათ, როგორ უვლის თავისი ცოლი, ან თუ არ ჰყავს, დედა, აუცილებლად დედა. აი, დედებს ძალიან მიწეპებული კაცები რომ არიან-მეთქი, ჩემთვის ასე ვიფიქრე, ან სულაც და, და უვლის, ალბათ, ისიც გაუთხოვარი. მოკლედ, დამაფიქრა ამ მოხუცმა.

ძველ უბანში ერთ ქუჩას ავუყევი, მოკირწყლულს და ცოტა დანგრეულს. ქუჩის ბოლოს ეკლესიაა. ზემოთ არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ისე ვიცოდი, რომ აქ გერმანელების ეკლესია იყო, ასე ეძახდნენ ჩემს ბავშვობაში, ლუთერანული. დიდი ჭიშკრის იქით, უმშვენიერესი ბაღი აღმოვაჩინე ვარდებით, საოცრად მოვლილი. ამ დანგრეულ გარემოში კი გამიკვირდა ეს ბაღი.

მოხვედით? ძალიან გამიხარდა თქვენი დანახვა, შემეგება მოხუცი, მე ვალტერი ვარ, ვალტერ მორიცი, მითხრა მოხუცმა, მე გესაუბრეთ ტელეფონით, მეგონა, არ მოხვიდოდით. ეს ჩვენი ეკლესიაა, აქ ვაწყობ ხოლმე კონცერტებს. ჩვენს ეკლესიაში როიალი დგას და კლასიკური მუსიკის საღამოებს აქ ვაკეთებთ ხოლმე, გამეცნო ბატონი ვალტერი.

დარბაზში შევედი. ჩემთვის უცხო სამყაროში მოვხვდი. სრულიად ცარიელი ეკლესია, სკამები, როიალი და ზემოთ, კედელზე ვეებერთელა ჯვარი. კათოლიკურს სრულიად არ ჰგავს, ჩვენსას, მართლმადიდებლურს ხომ საერთოდ არ ჰგავს, მკაცრი, ოდნავ ცარიელი სივრცით, რაღაც უცნაური კი ვიგრძენი.

უკან დავჯექი, დარბაზის ბოლოში და კონცერტი დაიწყო. ძირითადად ვოკალისტები მღეროდნენ. რა საოცარია, მართლა უხდება შუბერტის სიმღერები ამ ეკლესიას, გავიფიქრე ჩემთვის.

ციოდა დარბაზში, ცოტათი გავიყინე, ბოლოსკენ დავიღალე კიდეც, ცოტა დიდხანს გაგრძელდა კონცერტი. სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ მოხუცს, რომელიც აღფრთოვანებულია ამ შეკრებით, პატივს ვცემ, ამიტომაც ადგილიდან არ ვიძვრი.

ჩემს გვერდით ქალბატონი ზის. გავხედე. გამიღიმა, მეც, ცხადია. სიმპათიური ქალია, სანდომიანი, გავიფიქრე.

ჩუმად ვაკვირდები ჩემს წინ მჯდარ ქალბატონს, რაღაც სუნამოს სუნი აქვს, ვერ ვიხსენებ, რა სუნამოა. ათასგზის მიგრძვნია ეს სუნი ადრეც, მაგრამ ახლა, ეს ძველი ნაცნობი სურნელი სად იპოვა, ნეტავ, ვიფიქრე ჩემთვის. თავზე ნაცრისფერი ხელით მოქსოვილი ქუდი, ტალღოვანი, ოდნავ შელახული თმაც საკმაოდ მოწესრიგებულად მოუჩანს. ნაცრისფერი ტვიდის პალტო, ცოტა გაქექილი. ნეტავ, რა ეროვნების არის, – ვიფიქრე ჩემთვის, – გაურკვეველი: დედა – გერმანელი, მამა – ქართველი, ბებია? სომეხი, არა, სომეხი არა. აბა, – რუსი? – არა. აბა? უცებ მივხვდი, რომ ჩემი პოლიტიკას აყოლილი გონება არ ისვენებს და გავაგრძელე მოსმენა. ახალგაზრდა ვოკალისტი ქალი მღერის – მშვენიერია. რაღა მაინც და მაინც ამ შუბერტს ჩააცივდა, საკმაოდ უჭირს, ვიფიქრე, თან ღელავს.

ყინავს ეკლესიაში. ახლაღა მივხვდი, რომ ქალს, წვრილ „ბრეტელებზე“ სარაფანი აცვია და თავგამეტებით მღერის. გავიხედ-გამოვიხედე და უცებ აღმოვაჩინე, რომ დარბაზი გაჭედილია. ამ სიცივეში, ამ გაჭირვებაში გადატენილია დარბაზი, ღარიბად, ცუდად ჩაცმული, ნათელი ადამიანები და მე ამ ლუთერანულ ეკლესიაში.

დასრულდა კონცერტი!

მოგეწონათ? მკითხა ვალტერმა. ძალიან, სიმშვიდე მოვიპოვე, ვუპასუხე. მთავარი მოგიპოვებიათ, მითხრა ღიმილით მოხუცმა, ერთ-ორ კვირაში კიდევ გვექნება კონცერტი, ხომ მოხვალთ? მკითხა მოხუცმა. რა თქმა უნდა, მართლა გულწრფელად ვუთხარი და ზუსტად ამ დროს დავინახე ის ვოკალისტი, მშვენიერი ქალბატონი, რომელიც იყინებოდა და ახლა უკვე მილოცვებს იღებდა. მეც მივულოცე.

დაღმართს ჩამოვუყევი. არა, ვერ გავისეირნებ, სიცივე ძვალ-რბილში ატანს-მეთქი, გავიფიქრე. ფეხით ტრამვაის გაუქმებული ხაზი გადმოვკვეთე.

ჩემს წინ ორი მოხუცი მიდიოდა, ცოლ-ქმარი. ესენიც ამ დარბაზში ისხდნენ. კმაყოფილად დამიქნიეს თავი, ისე, როგორც თავისიანს, მეც, ცხადია.

ნეტა, სახლში ელოდებათ ვინმე? – გავიფიქრე, – ალბათ, დავიმშვიდე თავი. ცოტათი ფეხით ჩამოვედი და იქვე, კუთხეში ტაქსი გავაჩერე, რაღაც სევდა კი მომყვებოდა...

ორი კვირის შემდეგ არა, მაგრამ ოთხ თვეში ერთხელ სულ რეკავდა ვალტერი და სულ აწყობდა კონცერტებს. მართლა სულ მივდიოდი, რამდენადაც შემეძლო, ერთი კია, სულ ვფიქრობდი, ეს ადამიანები სხვაგან რატომ არ მხვდებიან? მხოლოდ ამ კონცერტებზე ვხედავ მათ. არადა, ერთ ქალაქში ვცხოვრობთ. სად ცხოვრობენ? ასე ჩუმად, უხმაუროდ? სად ივსება ეს დარბაზი სიცოცხლით და მერე სად ქრება? საოცარია. აქ სხვა ადამიანები სხედან, მე სხვა ადამიანებს ვიცნობ გარეთ. ესენი ფართოფანჯრებიან ძველ სახლებში ცხოვრობენ, აი, ისეთში, მე რომ ვიხედებოდი ხოლმე ბავშვობაში გარეთ, სოლოლაკის ერთ-ერთ ქუჩაზე, ერთი სახლი მქონდა ამოჩემებული, სულ მაინტერესებდა, იმ სახლში რა ხდებოდა, როგორ ცხოვრობდნენ... ჩვენი ძველი აივნიდან ხშირად ვუყურებდი გაჩახჩახებულ ფანჯრებს, სითბო იღვრებოდა იქიდან. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. წლების შემდეგ, დედასთან ერთად, სტუმრად მოვხვდი ზუსტად იმ ბინაში, ბებიას მეგობრის ოჯახი ყოფილა და დედა დაპატიჟეს, კინაღამ გავგიჟდი. დედაჩემმა ვერაფრით გაიგო, რა მჭირდა. ზუსტად ისეთი აღმოჩნდა ის სახლი, როგორიც მე წარმომედგინა, შუაში ძველი მაგიდით, მაქმანიანი გადასაფარებლით. მხოლოდ ადამიანები არ იყვნენ ისეთები, როგორიც მე წარმომედგინა, ერთი, დედაჩემის ნაცნობი მოხუცის გარდა. ეს ერთი მოხუცი დაფარფატებდა მხოლოდ და ვიღაც გაუგებარი წარმომავლობის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ქალი, რომელიც რძალი აღმოჩნდა ამ ოჯახის. ერთი სული მქონდა, იქიდან მალე წამოვსულიყავი, დედაჩემსაც, – მე მგონი. მახსოვს, დედაჩემი დანანებით მეუბნებოდა, შენ არ იცი, მანდ როგორ მიყვარდა მისვლა და რა ადამიანები ცხოვრობდნენო. მეც-მეთქი, ვუპასუხე და ყველაფერზე ხუმრობა არ შეიძლებაო, გამინაწყენდა დედაჩემი. არადა, ასე იყო და რა ვქნა? ჩემს ბავშვობაში, ჩემს წარმოსახვაში ათასგზის ვყოფილვარ იმ სახლში.

ზუსტად ასეთ სახლში ცხოვრობს, ალბათ, ვალტერი, – გავიფიქრე ჩემთვის, – სახლში, ალბათ, საღამოობით საუბრობენ ხოლმე ჩაისთან და მომინდა საშინლად მურაბა და ცხელი ჩაი. სახლში რომ მივალ, აუცილებლად დავლევ-მეთქი, ვიფიქრე. საით? – „მოხროვი“ ხმით მკითხა ტაქსისტმა...

სანაპირო მშვენივრად გაუნათებიათ, ვიფიქრე და კარგ ხასიათზე დავდექი...

სახლთან ჩვენი მეზობელი შემხვდა, პირველი, რაც მითხრა, დაღლილი სახე გაქვსო. კონცერტზე ვიყავი-მეთქი ვუთხარი. გაკვირვებულმა შემხედა. საოცრად ბევრი ხალხი იყო-მეთქი, ვუთხარი. არა, გენაცვალე, მოცლილია ეს ხალხიო, მითხრა და აღარც ჩაი მინდოდა უკვე, აღარც – მურაბა. ერთი შევუღრინე, ცაცო, სულ ეგ წითელი ქუდი რატომ გახურავს-მეთქი. მივხვდი, რომ მაინცდამაინც არ მოეწონა შეკითხვა და მომეშვა.

ორი კვირის მერე არადა, ორი დღის შემდეგ დარეკეს, გამარჯობა, ვალტერის გამო ვრეკავთო. ვიფიქრე, ასე მალე რამ გააკეთებინა კონცერტი, რაღაცას მოვიმიზეზებ ამჯერად და არ წავალ-მეთქი, ვიფიქრე და მომიბოდიშეს ტელეფონში, ბატონი ვალტერი მოულოდნელად გარდაიცვალაო. გავშრი, ნამდვილი შოკი მივიღე. სისხლი ჩამექცა უცებ, მე ნათესავი ვარო, მითხრეს. საშინლად ვიგრძენი თავი, ასეთი ცარიელი და ბითური არასოდეს ვყოფილვარ. გუშინწინ ცოცხალი იყო, რა სისულელეა, ეს მიტრიალებდა თავში.

ძველ უბანში, მოკირწყლულ ქუჩას ავუყევი. ვეძებდი. ვერაფრით მივხვდი, რა ადგილას ცხოვრობდა ვალტერი. მერე, ის ნაცნობი ქალი დავინახე, ჩემს გვერდით რომ იჯდა კონცერტზე და იმას ავყევი, მივხვდი, რომ ისიც იქ მიდიოდა. მივადექით სახლს, ის ქალი რომ არა, მე ვერ მივაგნებდი, რადგან მე რატომღაც დიდფანჯრებიან, დიდრაფებიან სახლს ვეძებდი. აქ კი, არსად ასეთი სახლი არ ჩანდა.

ვიწრო ჭიშკარში შევედით, წინ ეს ქალბატონი გავუშვი, თუმცა ორნი მაინც ვერ ავიდოდით კიბეზე, სივიწროვის გამო გამორიცხული იყო. ვიწრო კიბით ავედით მეორე სართულზე, ძველ კომუნალურ ბინაში. სამძიმარს ორი მეზობელი და ვიღაც კაცი იღებდა. ხმაზე მივხვდი, რომ ეს ის კაცი იყო, მე რომ დამირეკა. ოთახში იდგა სასახლე. ოთახი ისეთი პატარა იყო, რომ ერთი მეზობელი უკვე შემოსასვლელში იდგა სამძიმრისთვის. კედელზე ასაკოვანი ლამაზი ქალის სურათი ეკიდა. მითხრეს, დედა არისო. კედელზე კიდევ ის შავი ფრაკი ეკიდა თეთრი პერანგით, ვალტერს რომ ეცვა ხოლმე. ღმერთო, მაპატიე და, რაღაც ჯვარცმასავით ეკიდა ეს ფრაკი. ცოლი არ ჰყოლია, თურმე, ვალტერს, მეზობელმა მითხრა, რომელიც ისე ტიროდა, რომ სულ ღაპა-ღუპით მოსდიოდა ცრემლები. ღამე რომ მოვიდოდა, ჩაახველებდა, რომ ჩვენ გაგვეგო, რომ სახლში დაბრუნდაო. იმ დღესაც ასე მოიქცა, მაგრამ ცოტა ხანში რომ შევეხმიანე, პასუხი აღარ გამცაო, მიყვებოდა მეზობელი. თითქოს მიხვდა, რომ ყველაფერი მაინტერესებდა ამ მოხუცის შესახებ.

ამ დანგრეულ სახლში, ამ პაწაწინა უფანჯრო ოთახში როგორ ატევდა ამხელა სიცოცხლეს? – გავიფიქრე და ფეხით დავეშვი მოკირწყლულ დაღმართზე. დაღმართის ბოლოს, მეორე ქუჩაზე დავინახე დიდი რაფებით და დიდი ფანჯრებით სახლი. კაცმა არ იცის, ვინ ცხოვრობს ახლა ამ სახლში.

უცნაური კაცი იყო ვალტერი.

# ჩანთა, რომელიც ნემსის ყუნწში ეტევა

ორიგინალური პროექტებით ცნობილმა ბრენდმა – MSCHF, ამჯერად მიკროჩანთა წარადგინა, რომელიც ძალიან ჰგავს Louis Vuitton-ის ერთ-ერთ მოდელს – ONTHEGO-ს. აქსესუარი ნახევრად გამჭვირვალე პლასტმასისგან არის დამზადებული და მისი ზომები მართლაც რომ გასაოცარია – 657ფ222ფ700 მიკრომეტრია. შედარებისთვის, ეს ზღვის მარილის წვნიკზე უფრო პატარაა და ნემის ყუნწშიც კი გაძვრება. მიკროჩანთა ბრენდმა სამგანზომილებიან პრინტერზე დაბეჭდა. ჯერჯერობით, აქსესუარის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობს და ის აუქციონზე გაიყიდება.



# კაფე, სადაც სულ წვიმს

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულის ცენტრში, ცოტა ხნის წინ კაფე გაიხსნა, სადაც სულ წვიმიანი ამინდია. Rain Report-ის შენობა ისეა დაპროექტებული, რომ სახურავზე გარედან მუდმივად წყალი ჩამოდის და თავსხმა წვიმის შთაბეჭდილებას ქმნის. შენობის შიგნით დამონტაჟებულია ეკრანები, სადაც გადაუღებელ წვიმასა და ჭექა-ქუხილიან ღრუბლებს აჩვენებენ. მომხმარებელი, აქ, ერთ ფინჯან ყავასთან ერთად, შეძლებს, სავარძელში მშვიდად მჯდარმა, თვალი ადევნოს ბუნების მოვლენებს. საგულდაგულოდ მოფიქრებული კაფეტერიის მინიმალისტური დიზაინი – პანორამული ფანჯრები, მუქი ფასადები და მოხერხებული ტახტები, მინავლული შუქი და გარშემო წყლის ატმოსფერო სივრცეს კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის. Rain Report-ში კლიენტებს უნიკალურ დესერტებსა და სასმელებს სთავაზობენ, ხოლო სუფთა ჰაერზე ეფექტიანი ფოტოსესიის მსურველებს – უზარმაზარ ქოლგებს, რომ არ დასველდნენ.

# იოდის ნაკლებობა ინტელექტს აქვეითებს

ორგანიზმში იოდის დეფიციტი უამრავ მავნე შედეგს რომ იწვევს, ეს თითქმის ყველამ იცის. ამჯერად, ტასმანიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს მასშტაბური კვლევა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იოდდეფიციტი ბავშვის ინტელექტზე მოქმედებს. კვლევების შედეგების მიხედვით, იმ პატარებს, რომელთა დედებსაც ორსულობის დროს იოდდეფიციტი აღენიშნებოდათ, უფრი უჭირთ ახალი უნარების ათვისება, სწავლა და მართლწერაშიც პრობლემები აქვთ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ნივთიერების დაბალი დონე, თურმე, არ ახდენს გავლენას მათემატიკურ უნარებზე. სწავლულები აცხადებენ, რომ იოდის ნაკლებობა ნეგატიურად აისახება ემბრიონის სმენითი ორგანოების განვითარებაზე და შედეგად, ბავშვების სმენით ოპერატიულობაზე. ამიტომაც აფრთხილებენ მედიკოსები მომავალ დედებს, რომ მთელი ფემძიმობის პერიოდში, იოდის შემცველი საკვები პროდუქტები, თუ დანამატები და შესაბამისი პრეპარატები მიიღონ.

# ჰიმალაის მყინვარებს გაქრობა ელით

კვლევითმა ორგანიზაციამ ნეპალიდან განაცხადა, რომ ჰინდიყუშის ჰიმალაის მთები 80%-ით დაკარგავს მყინვარებს, თუკი სასათბურე აირების გამოყოფა მკვეთრად არ შემცირდება. სპეციალისტების თქმით, 2010 წლის შემდეგ, ჰიმალაიში, მყინვარები 65%-ით უფრო ჩქარა დნება, ვიდრე წინა ათწლეულებში. მათი აზრით, კლიმატური ცვლილებების გამო, ყინულის საფარის დნობა მტკნარი წყლის შემცირებას გამოიწვევს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ მთების ქვემოთ ცხოვრობენ. მკვლევარებმა მთებში 200 ყინულის ტბა მიიჩნიეს საშიშად: ასწლეულის ბოლოს, რეგიონში მნიშვნელოვნად მოიმატებს ზვავები და წყალდიდობების რიცხვი, საფრთხე დაემუქრება 2 მილიარდამდე ადამიანს. ჰინდიყუშის მყინვარების ცვლილებები მნიშვნელოვანწილად შეუქცევადია, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

# თირკმლიდან რეკორდულად დიდი ზომის ქვა ამოუღეს

შრი-ლანკაში მცხოვრების თირკმლიდან ამოღებულმა ქვამ ორი რეკორდი დაამყარა. გინესის წიგნის საიტზე არსებული ინფორმაციით, ექიმებს დახმარებისთვის 62 წლის ყოფილმა სამხედრომ – კანისტუს კუნხემ მიმართა. გამოკვლევისას, მის მარჯვენა თირკმელში ქვა აღმოაჩინეს. პაციენტს ოპერაცია ჩაუტარდა, რომლის დროსაც ამოღებულმა ქვამ, თავისი ზომებით, გაოცება გამოიწვია. მისი პარამეტრები რეკორდული აღმოჩნდა, რადგან სიგრძე – 13.3 სანტიმეტრი, სიგანე – 10.5 სანტიმეტრი, ხოლო წონა – 800 გრამი იყო, რაც ბეისბოლის ხუთი ბურთის წონაა. შრი-ლანკელის თირკმლიდან ამოღებული ქვა მსოფლიოში ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. ექიმები აღნიშნავენ, რომ ორგანიზმში წარმოქმნილი ქვა სიგრძეში 2 სანტიმეტრით უფრო გრძელია, ვიდრე პაციენტის თირკმელი. ამის მიუხედავად, ორგანოები ნორმალურად ფუნქციონირებდა. მსგავსი რეკორდი 2004 წელს დამყარდა. მაშინ ინდოელ პაციენტს თირკმლიდან 13-სანტიმეტრიანი წარმონაქმნი ამოუღეს.

# ორსულობას ნერწყვით დაადგენთ

დიდ ბრიტანეთში, ორსულობის დასადგენი ახალი ტესტი SaliStick შექმნეს. ის პირველი ტესტია მსოფლიოში, რომელიც ფეხმძიმობას ნერწყვის ანალიზით განსაზღვრავს. ის იმავე პრინციპით მუშაობს, როგორც კორონავირუსის დასადგენი პერორალური ტესტები. შედეგი 10 წუთშია ცნობილი. ნერწყვის ნიმუში ხელის აპლიკატორში უნდა მოაგროვოთ და მოათავსოთ ანალიზის ბლოკში. ტრადიციულად, ორსულობის დამადასტურებელი ჰორმონის აღმოჩენა მესამე-მეოთხე კვირაზეა შესაძლებელი. ახალი ტესტის ცდებში 300-ზე მეტი სუსტი სქესის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მეთოდის სიზუსტე 95%-ია. ორსულობის დასადგენი ნერწყვის ტესტის ღირებულება 10 გირვანქა სტერლინგია.

# მამის პროფესია გავლენას ახდენს ჩანასახზე

ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მუცლად ყოფნის დროს, ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენას არა მხოლოდ დედის, არამედ, მამის საქმიანობის სფეროც ახდენს. მკვლევარებმა თანდაყოლილი დეფექტის მქონე და ჯანმრთელი, ათასზე მეტი ბავშვის მამების მონაცემები შეადარეს, რის საფუძველზეც გამოვლინეს ის პროფესიები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან შთამომავლობას. სპეციალისტებმა რისკ-ჯგუფში შეიყვანეს მხატვრები, ფოტოგრაფები, პარიკმახერები, ფიზიკოსები, სტამბის მუშები, მძღოლები, მნეები, ნავთობისა და გაზის კომპანიების, ქიმიური და კვების მრეწველობის მუშაკები. უფრო მეტიც, ზოგიერთი პროფესია პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ამა თუ იმ კონკრეტულ დაავადებას. მაგალითად, მებაღეების შვილებს ნაწლავების დაავადებებისკენ აქვთ მიდრეკილება, მხატვრების მემკვიდრეებს გულის, მხედველობისა და სმენის დაავადებები ემუქრებათ, ფოტოგრაფებმა და მძღოლებმა კი საკუთარი შვილები, შესაძლოა, კატარაქტითა და გლაუკომით „დაასაჩუქრონ“. როგორც სწავლულები განმარტავენ, მავნე ნივთიერებებთან კონტაქტი უარყოფით გავლენას ახდენს სპერმის ხარისხზე, რაც თავის მხრივ, ნაყოფის ნორმალურ განვითარებას უშლის ხელს.

# შაქარი ყველაზე მავნე პროდუქტია

შაქარი მეტად ტოქსიკური პროდუქტია, რომლის მოხმარების შემცირებაც აუცილებელია, ან მისი ალტერნატივის მოძებნაა საჭირო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ყველაზე მავნე პროდუქტების სიაში ის პირველ ადგილზე უნდა იყოს. შაქრის მუდმივი მოხმარება მიზეზია ორგანიზმში პათოლოგიური ცვლილებებისა და საშიში დაავადებების განვითარებისა. საქმე ის არის, რომ შაქარი ტოქსიკური პროდუქტია. თანაც, თავისი მოქმედებით, ეს „ტკბილეული“ გაცილებით საშიშია ტრანსცხიმებზე, რომელთა მავნებლობის შესახებ ბევრმა ადამიანმა იცის. მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებენ, რომ შაქრის ჭარბი მოხმარება ისეთ დაავადებებს იწვევს, როგორიც შაქრიანი დიაბეტი, გულსისხლძარღვთა, ალცჰეიმერის დაავადებებია, ასევე, სხვადასხვა ანთებითი პროცესები. შაქარს ადანაშაულებენ ასევე სიმსივნის ფართოდ გავრცელებაშიც. შაქრის სიყვარული იწვევს არტერიების დახშობას, რაც ინფარქტის მიზეზი ხდება. არ შეიძლება, არ ვთქვათ ინსულინის გამომუშავებაზეც, რომელიც ხელს უწყობს ცხიმების დაგროვებას. გარდა ამისა, შაქარს შეუძლია გამოიწვიოს უჯრედების დაზიანება და ნაადრევი დაბერების მიზეზიც გახდეს. ამის გამო, აუცილებელია ადამიანმა საგრძნობლად შეამციროს მისი მოხმარება და სასარგებლო ალტერნატივები გამოძებნოს.

# შიშველი ძილი ახდუნებს?

გრილ შენობაში ძილი ადამიანს ზედმეტი კილოგრამების მოცილებაში ეხმარება, რადგან სითბოს შესანარჩუნებლად, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესი ჩქარდება. გარდა ამისა, ასეთ გარემოში ძილი დიაბეტის განვითარებისა და სხვა მეტაბოლური დარღვევების რისკს ამცირებს. ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული გამოკვლევებისას დადგინდა, რომ ყველა ამ დადებითი ეფექტის გამოცდა ადამიანს საკუთარ თავზე შეუძლია, თუკი ის შიშველი დაიძინებს. ადამიანმა რომ დაიძინოს, მისი სხეულის ტემპერატურა, დაახლოებით, ნახევარი გრადუსით უნდა დაეცეს. ამ დროს, ტვინი უგზავნის სიგნალს სისხლძარღვებს, ისინი კი, თავის მხრივ, ფართოვდებიან და სითბოს გამოყოფენ. დღეს უკვე ბევრია ცნობილი ყავისფერი ცხიმის შესახებ. ჩვეულებრივი ქონისგან განხვავებით, ის კალორიების დაწვაში ეხმარება. ასეთი ცხიმი ბევრი აქვთ ბავშვებს, ის მათ სხეულში სითბოს შენარჩუნებისთვის სჭირდებათ. კვლევებმა აჩვენა, რომ ასეთი ცხიმი მოზრდილებსაც აქვთ და ზოგიერთი სახის მოქმედება მას ააქტიურებს. ასეთ მოქმედებას შორისაა გრილი საძინებელი, ან შიშველი ძილი. გარდა ამისა, ტანსაცმლის გარეშე დაძინება დადებით გავლენას ახდენს რომანტიკულ ურთიერთობებზეც, ასეთი წყვილები უფრო ბედნიერები არიან.

# „ჰარი პოტერის“ პარკი გაიხსნა



ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქ ტოკიოში, ჰარი პოტერის თემატური პარკი გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ პარკი, სახელწოდებით – The Warner Bros. Studio Tour Tokyo – The Making of Harry Potter, „ჰარი პოტერის“ მოტივებზე შექმნილი ყველაზე დიდი დახურული ატრაქციონია. აქ წარმოდგენილია ჰოგვარსტის სკოლის დეკორაციები და ტექნიკა, რომელიც დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს, თავი ახალგაზრდა ჯადოქარზე შექმნილი ფილმების ავტორად წარმოიდგინოს. პარკი 30 ათას კვადრატული მეტრის ფართობზეა განთავსებული. სტუმრები აქ ჰოგვორსტ-ექსპრესით მგზავრობას, ქვიდჩის თამაშს, ნაღების ლუდის დაგემოვნებასა და გასეირნებას შეძლებენ. პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს თემატური კაფეები და „ჰარი პოტერისადმი“ მიძღვნილი უდიდესი მაღაზია. პარკში შესასვლელი ბილეთი ზრდასრულისთვის, დაახლოებით, 45 დოლარი, მოზარდებისთვის – 36 დოლარი, ხოლო ბავშვებისთვის – 28 დოლარი ღირს.

# წინდებს გარეცხვა არ სჭირდება

64 წლის ფერმერმა, დიდი ბრიტანეთიდან, წინდები შექმნა, რომელსაც გარეცხვა არ სჭირდება. მისი ტექნოლოგიის საიდუმლო მატყლის განსაკუთრებულ დამუშავებაშია. მასალად კი ინოვატორი ფერმერი ანგორის ჯიშის თხების მატყლს იყენებს. ამ მატყლის განსაკუთრებული თვისებები იმ ბაქტერიების დაგროვებასა და გამრავლებას უშლის ხელს, რომლებიც უსიამოვნო სუნს იწვევენ. ამ უჩვეულო პროდუქტის შეძენა ინტერნეტითაა შესაძლებელი – ერთი წყვილი ანგორის თხის მატყლისგან შექმნილი წინდა 10-დან 20 ევრომდე ღირს. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ამ ჯიშის თხებს წელიწადში ორჯერ პარსავენ და ერთი ცხოველი დაახლოებით 2.5 კილოგრამ მატყლს იძლევა.

# პარიზში ცათამბჯენები აკრძალეს

საფრანგეთის დედაქალაქის ხელისუფლებამ პარიზის განვითარების ახალი გეგმა დაამტკიცა, რომელიც 12-სართულიანზე მეტი სიმაღლის (ანუ 37 მეტრზე მეტი) შენობების აშენებას კრძალავს. პარიზელები მიიჩნევენ, რომ ცათამბჯენები დედაქალაქის არქიტექტურულ იერსახეს ამახინჯებენ. ასეთი გადაწყვეტილება პარიზის მთავრობაში მას შემდეგ მიიღეს, რაც Tour Triangle-ს პირამიდის ფორმის კოშკის მშენებლობამ მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. დისკუსიების შემდეგ, ქალაქის ხელისუფლებამ ძველი, 1977-2010 წლების კანონი აღადგინა, რომლითაც იკრძალება ცათამბჯენების მშენებლობა. ეს კანონიც Tour Montparnasse-ის 210-მეტრიანი საოფისე კოშკის აშენების შემდეგ მიიღეს.

# წამლების წარმოებისთვის კოსმოსში ხომალდი გაუშვეს

ამერიკულმა ფარმაცევტულმა ფირმამ Varda, პრეპარატების წარმოებისთვის, კოსმოსში პირველი თანამგზავრი გაუშვა. ეს საშუალებას მისცემთ, სამკურნალო ნივთიერებები ნულოვანი გრავიტაციის პირობებში დატესტონ. კოსმოსური აპარატი ორბიტაზე, კომპანია SpaceX-ის რაკეტა Falcon 9-მ გაიყვანა. თანამგზავრი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე ერთი თვის განმავლობაში დარჩება და შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდება. ხომალდი დატესტავს აივ-ინფექციის საწინააღმდეგო პრეპარატებს. მკვლევარები ამბობენ, რომ კოსმოსში შესაძლებელია იმ ნივთიერებების მიღება, რომელთა შექმნაც დედამიწაზე ძალზე რთულია, გრავიტაციის გამო. პლანეტის მიზიდულობის ძალის გარეშე, სითხეში ნაწილაკები დაცულია წარმონაქმნებისგან, ეს კი ზრდის პრეპარატების ვადიანობას და აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ წამლის ათვისებას. თუკი კოსმოსური ცდები წარმატებული აღმოჩნდება, წლის ბოლოს, Varda კიდევ ერთ აპარატს გაუშვებს.

# საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქი ვენაა

პოპულარულმა გამოცემამ The Economist-მა, საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქად, უკვე მეორედ, ავსტრიის დედაქალაქი დაასახელა. ყოველწლიური რეიტინგის შედგენისას, ავტორების თქმით, ქალაქები 30 მაჩვენებლის მიხედვით შეფასდა. მათ შორის ისეთი კატეგორიებით, როგორებიცაა სტაბილურობა, მედიცინა, კულტურა, ეკოლოგია, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და სხვა. საცხოვრებლად ყველაზე კარგი ქალაქების ტოპ-ათეულში, ვენის გარდა, შევიდნენ კოპენჰაგენი, მელბურნი, სიდნეი, ვანკუვერი, ციურიხი, კალგარი, ჟენევა, ტორონტო, ოსაკა და ოკლენდი. რეიტინგის ბოლო საფეხურებზე აღმოჩნდნენ – Harare (ზიმბაბვეს დედაქლაქი), კიევი (გასაგები მიზეზის გამო) და დუალა (კამერუნის უდიდესი ქალაქი).

# ხელით წერა მეხსიერებას ავითარებს

სწავლულებმა ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან აღმოაჩინეს, რომ ხელით წერისას, ბავშვის მეხსიერება უფრო მეტად ვითარდება, ვიდრე კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის დროს. კვლევაში 20 ბავშვი და ახალგაზრდა მონაწილეობდა. მათი ტვინის აქტივობას თავზე სპეციალური ჩაფხუტის მეშვეობით აკვირდებოდნენ. 45 წუთის განმავლობაში, მათი ერთი ნაწილი ტექსტს კლავიატურაზე აწყობდა, დანარჩენები კი ხელით წერდნენ. აღმოჩნდა, რომ სწორედ ხელით წერისას წარმოიქმნება ტვინში ის აქტივობები, რაც მოგონებების ფორმირებისა და შენარჩუნებისთვისაა საჭირო. სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბავშვებს მეტი ინფორმაცია ამახსოვრდებათ, თუ მას ხელით დაწერენ. ამასთან, ტვინი ინტენსიურად იტვირთება, რის შედეგადაც ის ვითარდება.

# ნიორი მდგრად ბაქტერიებს ებრძვის

ჩვეულებრივი ნიორი ისეთ ნაერთებს შეიცავს, რომელიც ყველაზე მდგრად ბაქტერიებს ანეიტრალებს და მათი კავშირის სისტემა მწყობრიდან გამოჰყავს, – აცხადებენ დანიელი სწავლულები. მათი თქმით, აჯოენის ნაერთი ბაქტერიებს არ აძლევს საშუალებას, გამოყონ ტოქსინი რამნოლიპიდი, რომელიც სისხლის თეთრ უჯრედებს ანადგურებს. ეს უჯრედები ორგანიზმს ინფექციებისგან იცავს. როცა პათოგენები ერთად გროვდებიან და მდგრად ფენას – ბიოფირფიტას ქმნიან ორგანული მასალისგან, ეს ბაქტერიები მეტად მდგრადები ხდებიან ანტიბიოტიკების მიმართ. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ ბაქტერია Pseudomonas Aeruginosa, რომელიც პაციენტებში, ფეხებზე ქრონიკულ წყლულებსა და ფილტვების პრობლემებს იწვევდა. როცა ამ ბაქტერიის ბიოფირფიტა დაამუშავეს ანტიბიოტიკებით, ისინი მცირე ეფექტს იძლეოდნენ. მაგრამ ნივრის შემადგენელი აჯოენის დამატება სავსებით ცვლიდა სურათს – ბაქტერიების 90% კვდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ნიორში, სამწუხაროდ, ცოტა აჯოენია. ეფექტის მისაღებად ადამიანმა, დაახლოებით, 50 თავი ნიორი უნდა მიირთვას.

# მკურნალობის უჩვეულო ხალხური მეთოდები

ბევრი ჩვენგანი, როგორც კი თავს გაციების პირველ ნიშნებს შეატყობს, ცდილობს, ცხელი ჩაი მიირთვას ლიმნით, თაფლით, ან ჟოლოთი, ყელში სოდიანი წყალი გამოივლოს, ან მკურნალობის სხვა ხალხურ მეთოდებს მიმართოს. მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის საკუთარი, ხალხური მეთოდები არსებობს. რამდენიმე მათგანს ჩვენც გავეცნოთ.

ელექტროშოკი თავის ტკივილის წინააღმდეგ – ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ თავის ტკივილის დაამება ელექტრული შოკით შეიძლება, რომელსაც გველთევზასგან იღებდნენ. სხვათა შორის, თევზებს, რომელთაც შეუძლიათ ძაბვის გამომუშავება, არა მხოლოდ საბერძნეთის, არამედ, ბევრი ქვეყნის მედიცინაში იყენებდნენ. ასე, ეგვიპტელები ელექტრული გველთევზების წყალობით, რევმატიზმსა და ციებ-ცხელებას მკურნალობდნენ.

ხახვი მაღალი ტემპერატურის დროს – კანადელებს მიაჩნიათ, რომ სხეულის მაღალ ტემპერატურას მალე დააგდებთ, თუკი ავადმყოფს ქუსლებზე უმ ხახვს დაადებთ.

ყურის გოგირდი ჰერპესისთვის – ამერიკელები გვთავაზობენ, დღეს ფართოდ გავრცელებული ჰერპესის დროს, თავს ყურიდან გამოღებული გოგირდით ვუმკურნალოთ. საამისოდ საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად წაუსვათ ჰერპესის ბუშტუკებს ეს გოგირდი.

ობობა მალარიის წინააღმდეგ – მიუხედავად იმისა, რომ მალარია უფრო ხშირად ტროპიკულ ქვეყნებში გვხვდება, ვიდრე ევროპაში, ამ დაავადებისგან განკურნების ყველაზე საინტერესო საშუალება ნისლიან ალბიონზე იციან. ბრიტანეთის მცხოვრებლები ადრე დარწმუნებულები იყვნენ, რომ მალარიის დროს, ავადმყოფს აბივით დაპრესილი... ობობას ქსელი შველის. საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის კი პაციენტმა თავად ობობაც უნდა მიირთვას, სასურველია, რომ მწერი ცოცხალი გადაყლაპოს.

# ბალი რეკორდულ ფასად გაყიდეს

იაპონიის ქალაქ ჰატინოჰეში გამართულ აუქციონზე, ერთი შეფუთვა ბალი, რომელშიც სულ 15 ცალი ხილი იდო, 500 ათას იენად (3.5 ათას დოლარზე მეტად) გაიყიდა. ეს რეკორდული თანხაა მსგავსი ვაჭრობების ისტორიაში. ბალის ჯიში ელიტურია და მას „აომორი ჰარბიტი“ ეწოდება. ასეთ ბალს მისთვის დამახასიათებელი გულის ფორმა აქვს და დიდი ზომითაც გამოირჩევა. ასეთი ნაყოფი მომხმარებელში პოპულარობით სარგებლობს და მასზე დიდი მოთხოვნაა. ბლის ეს ჯიში აომორის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა გამოიყვანეს. ხილს, ძირითადად, ელიტური საჩუქრის რანგში ყიდულობენ.

# ყავა ბლეფაროსპაზმისგან იცავს

ყავის მოყვარულებს ნაკლებად ემუქრებათ თვალის ისეთი დაავადების განვითარება, როგორიც ბლეფაროსპაზმია, – მიიჩნევენ იტალიელი სპეციალისტები. მათი მონაცემებით, ყავის დამცველი ეფექტი ყოველდღიურად ერთი ფინჯანი ამ მაცოცხლებელი სასმელის მიღებით მიიღწევა. ბლეფაროსპაზმი – დისტონიის სახელით ცნობილი ნევროლოგიური დაავადების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. დაავადებას თვალის ორმხრივი მოჭუტვა ახასიათებს, რაც თვალის წრიული კუნთის შემცირებითაა გამოწვეული. დაავადების საწყის სტადიაში, ადამიანს თვალების ხშირი ხამხამი და გაღიზიანება აწუხებს. შემდეგში სპაზმები უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ხდება, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას: პაციენტს არ შეუძლია კითხვა, ტელევიზორის ყურება, ქუჩაზე გადასვლა... როგორც ცნობილია, ბლეფაროსპაზმი უფრო ხშირად 50 წელს გადაცილებულ ქალბატონებში გვხვდება.

გამოკვლევაში, რომელიც ბარის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს, ბლეფაროსპაზმით დაავადებული პაციენტები, მათი ახლობლები და სხვა ნევროლოგიური დარღვევების მქონე, სულ 166 ადამიანი მონაწილეობდნენ. ნევროლოგები შეეცადნენ, დაავადების განვითარებასა და მიმდინარეობაზე ისეთი ჩვევების გავლენა შეემოწმებინათ, როგორიცაა მოწევა და ყავის მოხმარება. აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, ვინც ამ „ღვთიურ სასმელს“ რეგულარულად მიირთმევდნენ, ნაკლებად იტანჯებოდნენ თვალის ამ დაავადებით, თანაც ყავის დამცავი მოქმედება სასმელის დოზის გაზრდით უფრო მატულობდა. მიღებული ყავის მოცულობა გავლენას ახდენდა იმაზეც, რა ასაკში განვითარდებოდა ბლეფაროსპაზმი. გაირკვა, რომ დღეში ყოველი ზედმეტი ფინჯანი ყავა დაავადების განვითარებას 1.7 წლით აფერხებდა. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ მოწევა არანაირ ზეგავლენას არ ახდენდა ამ ნევროლოგიურ დარღვევაზე.

სწავლულთა თქმით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყავის დამცავი ეფექტი კოფეინითაა განპირობებული, რადგან ეს ნივთიერება ტვინის იმ რეცეპტორების ბლოკირებას ახდენს, რომლებიც ტრემორის (კანკალი, ცახცახი) განვითარებაზე არიან პასუხისმგებელნი.

# ტუალეტში სიარულისთვის სამსახურიდან გაუშვეს

ერთ-ერთმა ჩინურმა კომპანიამ სამსახურიდან გაათავისუფლა თანამშრომელი, რომელიც სამუშაო საათებში, დღეში 6 საათს ტუალეტში ატარებდა. გათავისუფლებული მამაკაცი აცხადებს, რომ ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მისი თქმით, გადატანილი ოპერაციის შემდეგ, ის იძულებულია, ხშირად გავიდეს საპირფარეშოში. თუმცა, ხელმძღვანელობას არ მოსწონდა, რომ ის დღეში 20-ჯერ მაინც ტოვებდა სამუშაო ადგილს. საბოლოოდ, ის გაათავისუფლეს და მიზეზად პერსონალისთვის დადგენილი ინსტრუქციები მოიყვანეს, რაც დაგვიანებას, ადრე წასვლასა და სამსახურის გაცდენას უკავშირდება. თუმცა, მამაკაცი უფროსობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და სასამართლოში საჩივარი შეიტანა სამსახურში აღდგენაზე. თემიდამ კი დაადგინა, რომ თანამშრომლის ყოფნა ტუალეტში არ შეესაბამებოდა „გონივრულ და ნორმალურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს“ და მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.